

ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

2020



სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას. პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტშიც ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა.

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	8
მეთოდოლოგია.....	10
თვისებრივი კვლევის შედეგები	13
ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები	13
ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები	16
ახალგაზრდების ჩართულობა.....	19
მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები.....	20
დასკვნა.....	21
რაოდენობრივი კვლევის შედეგები.....	26
ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები	26
სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება.....	26
მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები.....	28
საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა.....	29
დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები	30
გართობისა და დასვენების შესაძლებლობები	33
მოხალისეობა.....	35
სპორტული აქტივობები	37
მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება.....	38
ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა	38
მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები	39
დასკვნა.....	41
დანართი.....	46

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (34%) ამბობს, რომ სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით აქტიური ან ძალიან აქტიურია, მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხული ახალგაზრდების 43%, ხოლო 23% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური.
- მათგან, ვინც აცხადებს რომ სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური, თითქმის მესამედი (32%) ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალური ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 21% ამბობს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 18% აცხადებს, რომ გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 47% ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. თითქმის იგივე წილი (46%) კი ამბობს, რომ პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულია.
- გამოკითხული ახალგაზრდების 33% ფიქრობს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 26%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული, ხოლო რესპონდენტთა 42% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის ჩართული, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების მოტივაციის არქონითა და ინტერესის ნაკლებობით არის განპირობებული.

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას ძირითადად სოციალური ქსელებისა (67%) და ტელევიზიების (53%) საშუალებით იღებენ. ინფორმაციის მიღების წყაროდ ასევე დასახელდა ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (35%) და ადგილობრივი ხელისუფლება (18%). გამოკითხულთა 5% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას.
- რესპონდენტების უმრავლესობა (72%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათგან 37% წარმოადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, 40% შეადგენს 18-24 წლის ახალგაზრდები, ხოლო თითქმის მეოთხედს (23%) - 25-29 წლის ახალგაზრდები.
- გამოკითხული ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 16%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, ასევე, 16% ამბობს, რომ ამისთვის დრო არ ჰქონდა, ხოლო 19%-ს კი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

- იმ შემთხვევაში, როცა გამოკითხული ახალგაზრდები ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩაერთვნენ (28%), 9% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, ასევე, 12%-ის განცხადებით მიაწოდეს ინფორმაცია, 8% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 3%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარს (50%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში.
- ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ სმენია მუნიციპალიტეტის ან/და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ისეთი პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს პასუხობს. მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითად ნაწილს მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის პროექტებში და თვლიან, რომ ყველაზე ეფექტური პროექტები - ინტელექტუალური თამაშები, ესეების კონკურსი და სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული ტრენინგებია. არასრულწლოვანი მონაწილეების აზრით, ინფორმაცია ახალგაზრდებამდე თანაბრად მიდის, თუმცა ახალგაზრდებში ინტერესი მსგავსი აქტივობებისადმი დაბალია. თუმცა სრულწლოვან მონაწილეთა საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ძირითად ნაწილს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამების/პროექტების შესახებ არ აქვს.
- რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ატარებს შეხვედრებს ახალგაზრდებთან და ყველაზე ხშირად სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებთან. შეხვედრები ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვამდე ტარდება ხოლმე, რომ შემდგომში ახალგაზრდების სურვილები გათვალისწინებული იყოს დაგეგმილ ღონისძიებებში. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰქონიათ ინკლუზიური პროექტებიც, მაგალითად, ექსკურსია სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად. ასევე, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სოფლებში ახალგაზრდული საბჭოების მსგავსი სტრუქტურა იყო შექმნილი, სადაც ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ აქტივობებს, ხოლო მუნიციპალიტეტისგან ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო დროებით ეს აქტივობა შეწყდა.
- რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები და აქტივობები ახალგაზრდების ადგილობრივ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. ხოლო, მეორე რესპონდენტი, რომელიც ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამბობს, რომ მათი პროექტები ძირითადად კულტურული ღონისძიებებისგან შედგება. ორივე მათგანი ინფორმაციას პროექტებისა და აქტივობების შესახებ ძირითადად ონლაინ მეთოდის გამოყენებით ავრცელებს.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე საუბრისას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი ყველაზე დიდ პრობლემად ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და პროექტების ნაკლებობას ასახელებს. მათი აზრით, სხვა ქალაქებთან შედარებით, ქობულეთში ახალგაზრდებს ნაკლები პერსპექტივა აქვთ. 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდები კი ყველაზე დიდ პრობლემად სხვადასხვა საკითხისადმი ახალგაზრდების ინტერესის ნაკლებობას, მოტივაციის არქონასა და ინფორმაციაზე წვდომის არქონას ასახელებენ. რაც შეეხება 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ჯგუფს, მონაწილეები, ყველაზე დიდ პრობლემად ახალგაზრდული სივრცეების არ ქონას ასახელებენ.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, სოფლებში ახალგაზრდებს თითქმის არ აქვთ თავშეყრის ადგილები, რის გამოც მათ ქალაქში ჩასვლა უწევთ ხოლმე, რაც თავის მხრივ, ტრანსპორტირების პრობლემას უკავშირდება, რადგანაც სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს.
- რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებს ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ, მათი აზრით, სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობა, ინტერნეტსა და ინფორმაციაზე წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარებთან დაკავშირებული პრობლემები. რესპონდენტების აზრით, მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებიც გამოწვევაა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახლომდებარე ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკაში ახალგაზრდები არ არიან ჩართულები. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისთვისაც პრობლემურია, მიზეზად კი რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაგვიანებული გავრცელება და/ან ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე არასაკმარისად დახარჯული რესურსი მიაჩნია. გარდა ამისა, რესპონდენტს გამოწვევად მიაჩნია, ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ვიწრო ჯგუფზეა მორგებული.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- ქობულეთში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით.
- რესპონდენტების დაახლოებით მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ კომპიუტერთან (80%) და ინტერნეტთან (95%) წვდომა ყოველდღიურად აქვს.

- რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (69%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (62%), ასევე ხშირად გასართობად (51%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (51%).
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები განათლების ხელმისაწვდომობას გამოწვევად მიიჩნევენ. მერიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ რადგანაც ქობულეთის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელია, რის გამოც ახალგაზრდები უმაღლესი/პროფესიული განათლების მისაღებად თბილისსა და ბათუმში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, განათლება გამოწვევაა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის რადგან სოფლად სკოლის ინფრასტრუქტურა - გაუმართავი, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა მცირეა.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების მესამედზე მეტი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია.
- გამოკითხულთაგან, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (23%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უმრავლესობა (58%) ეძებს სამსახურს, 18% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.
- 26-დან 30 წლამდე რესპონდენტთა უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მესამედი (32%) სამსახურს ეძებს, ხოლო დაახლოებით 5% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 44% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 39% - კერძო ორგანიზაციაში.
- კვლევის ფარგლებში გამოკითხული, დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, დაახლოებით მეოთხედი კი (24%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი.
- გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული (63%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას (28%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (26%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (17%) ასახელებენ.
- 18-25 წლის რესპონდენტები უმუშევრობის მიზეზად ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არ ქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 26-29 წლის ახალგაზრდები.
- კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (53%) და სტაჟირების შესაძლებლობა (52%) დაასახელეს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში განათლების ხელმისაწვდომობა პრობლემური არ არის, პრობლემური საკითხია დასაქმება. ახალგაზრდები

მიიჩნევენ, რომ გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, პრობლემური საკითხია, ზოგადად ახალგაზრდების სამუშაო ადგილებზე მიღება და დასაქმების სფეროების არამრავალფეროვანი, შეზღუდული რაოდენობა. ახალგაზრდების პრობლემად მიაჩნია დასაქმების საკითხი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელსაც, მისი თქმით, ახალგაზრდები ძირითადად სეზონურად საქმდებიან, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო სეზონური დასაქმებაც გამოწვევად იქცა.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- გამოკითხულთა 31% ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით უკმაყოფილოა.
- რესპონდენტთა 24% უკმაყოფილოა მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობის შესაძლებლობით, კმაყოფილებას კი მხოლოდ 38% გამოთქვამს. საინტერესოა, რომ კმაყოფილებას უფრო მეტი 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდა გამოთქვამს, ვიდრე - 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდები.
- კვლევის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (65%), კითხულობენ წიგნს (49%), უსმენენ მუსიკას (43%) და/ან უყურებენ ტელევიზორს (25%).
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (45%), ახალგაზრდობის კლუბების (36%), ატრაქციონების პარკის (28%), ბიბლიოთეკის (28%), სკვერების/ბაღებისა (28%) და ბანაკების (23%) ფუნქციონირება და სურთ.
- რესპონდენტთა 43%-ის თქმით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს მათი ინტერესების შესაბამის აქტივობებს უთმობენ. ეს აქტივობები შეიძლება იყოს, როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც 26-დან 30 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ექცვიან, ამბობენ, რომ თავისუფალი დროს შეძლებისდაგვარად მეგობრებთან ერთად ატარებენ, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ გასართობი ადგილები ქობულეთში არ არის, რის გამოც მეგობრებთან ერთად გართობა/დასვენება ურთულდებათ, განსაკუთრებით კი ზამთრის სეზონზე.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (69%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია მონაწილეობა, ხოლო 2% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (31%), 46% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი (23%) აცხადებს, რომ

ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 6%-6% ჩართული იყო სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარება/მონაწილეობაში და საქველმოქმედო აქციებში.

- მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (59%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 35%-35%-მა - სიახლეების სწავლა და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 34%-მა კი ახალი ადამიანების გაცნობა დაასახელა.
- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (69%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 18%-ს კი არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში.

სპორტული აქტივობები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების 28%-ის განცხადებით, საერთოდ არ არის სპორტული აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა იგივე წილი (28%) კი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას (64%) სურვილი აქვს, ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის, ყველაზე ხშირად კალათბურთს (6%) ასახელებენ.
- იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (30%), საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (20%), სურვილის ნაკლებობას (22%), არასაკმარის ფინანსურ შესაძლებლობებს (17%) ასახელებენ.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნებისა და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ასევე, გამოწვევად მიაჩნია თვისებრივ კვლევაში მონაწილე არსამთავრობო სექტორის წარმომადგენელს.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს (86%), არ მოიხმარს ალკოჰოლსა (76%) და არ მოიხმარს მარიხუანას (94%), ხოლო 88% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მოიხმარს. მამრობითი სქესის ახალგაზრდების მესამედზე მეტი - 37% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის ახალგაზრდების 11% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მისი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (78%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (75%).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი (51%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (19%), ამის მიზეზად 47% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 19% ამბობს, რომ არ ენდობა მათ.
- გამოკითხულთა 88% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის.
- ისინი, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა (12%), ამის ძირითად მიზეზებად მსგავსი მომსახურების სიძვირეს/არასაკმარისი თანხის ქონასა (66%) და არაინფორმირებულობას ასახელებენ იმის შესახებ, თუ ვისთვის მიემართათ (52%).

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლა არ სურს, 22%-ს კი - სურს, ხოლო მეხუთედზე ნაკლებს (18%) ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.
- მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად რესპონდენტები განათლების მიღებისა (33%) და დასაქმების (31%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ.

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის 369 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხვა 369 რესპონდენტი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-25, 26-29 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საერთო რაოდენობაა 17407. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 263 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 369-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კგუფი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;
- 18-25 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 26-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 6 ივნისიდან 29 ივლისამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს პირველ ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

კვლევის შეზღუდვები

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლები მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს;

გარდა ამისა, ახალგაზრდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის

შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გამოცდილება ამ სფეროში ერთ შემთხვევაში დაახლოებით 7 წელს, ხოლო მეორე შემთხვევაში - 2 წელს ითვლის, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის გამოცდილება კი დაახლოებით 8 წელია. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს სთხოვეს, ესაუბრათ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი განსახვავებულ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი ყველაზე დიდ პრობლემად ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და პროექტების ნაკლებობას ასახელებს. მათი აზრით, სხვა ქალაქებთან შედარებით, ქობულეთში ახალგაზრდებს ნაკლები პერსპექტივა აქვთ. ერთ-ერთი მათგანი მნიშვნელოვან პრობლემად ახალგაზრდების თვითშეგნებას გამოყოფს. მისი მოსაზრებით, ახალგაზრდებს არ აქვთ სწორი ხედვა და მავნე ჩვევებისკენ არიან მიდრეკილნი. 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდები კი ყველაზე დიდ პრობლემად სხვადასხვა საკითხისადმი ახალგაზრდების ინტერესის ნაკლებობას, მოტივაციის არქონასა და ინფორმაციაზე წვდომის არქონას ასახელებენ. რაც შეეხება 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ჯგუფს, მონაწილეები, ყველაზე დიდ პრობლემად ახალგაზრდული სივრცეების არ ქონას ასახელებენ. მათი აზრით, ქობულეთში უნდა იყოს ისეთი ახალგაზრდული ცენტრი, სადაც მათ საშუალება ექნებათ, დაგეგმონ პროექტები, იმუშაონ სხვადასხვა საკითხზე და განავითარონ იდეები; სადაც შეძლებენ თვითრეალიზაციას და თავისუფალი დროის გატარებას.

ამჟამად კი ფოკუს ჯგუფში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ თავისუფალ დროს მათი ინტერესების შესაბამის აქტივობებს უთმობენ. ეს აქტივობები შეიძლება იყოს, როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც 26-დან 30 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ექცვიან, ამბობენ, რომ თავისუფალი დრო თითქმის არ აქვთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად - მეგობრებთან ერთად ატარებენ ხოლმე და აქვე აღნიშნავენ, რომ ქობულეთში გასართობი ადგილები არ არის, რის გამოც მეგობრებთან ერთად გართობა/დასვენება ურთულდებათ, განსაკუთრებით კი ზამთრის სეზონზე. როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, 14-დან 26 წლამდე ახალგაზრდები, ძირითადად, დიდ დროს საოჯახო საქმეების კეთებას უთმობენ, თუმცა 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდები საოჯახო საქმეებისთვის ვერ იცლიან. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ოჯახს საქმეებში ძირითადად ტურისტული სეზონის დროს ეხმარება. ასევე, ერთი მონაწილე ამბობს, რომ დროდადრო დაკავებულია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საქმიანობითაც.

„ვისურვებდი, არამართო სკოლის პერიოდში, არამედ არდადეგებზეც ყოფილიყოს, რაღაც ასეთი ჩართულობები, გარკვეული პროექტები ნამდვილად მივიღებდი მონაწილეობას.“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„სამწუხაროდ, ქობულეთში ისეთი ის არა გვაქვს, რომ გასართობი ცენტრები და მსგავსი რამეები. შესაძლებელი [რომ] იყოს, დიდი სიამოვნებით, მეგობრებთან ერთად გავატარებდი დროს.“ (ქალი, 26 წლის, დაბა ჩაქვი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„ბავშვებს არასწორი წარმოდგენა აქვთ, იქედან გამომდინარე, რომ მოტივაციაც არა აქვთ და ინფორმაციის ნაკლებობაც არის განსაკუთრებით სოფლებში, არასასარგებლო და მათთვის საზიანო რაღაცების კეთებისკენ არიან უფრო მიდრეკილნი.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალაშხარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„ახალგაზრდული ცენტრების არარსებობა, ანუ არაოფიციალურ გარემოში ხშირად გინდა, რომ იყო...სადაც, თუნდაც, ინტელექტუალური საუბარი შედგება, გაიცნობს მეტ ახალგაზრდას, რაღაც იდეების გენერირება მოხდება, ასევე, თუნდაც, სხვადასხვა წრეები იქნება“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

საინტერესოა, რომ მონაწილეების ძირითადი ნაწილი, გარდა არასრულწლოვნებისა, ფიქრობს, რომ ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება რაიმე ნიშნის მიხედვით და ყველა მათგანს მსგავსი პრობლემა აქვს. მხოლოდ ერთი სრულწლოვანი რესპონდენტი ამბობს, რომ პრობლემები შეიძლება, განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება ახალგაზრდა. რაც შეეხება არასრულწლოვანთა ჯგუფს, მათი აზრით, პრობლემები განსხვავდება სქესის, ცხოვრების სტილის, ოჯახური მდგომარეობისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

„რა თქმა უნდა, პრობლემები განსხვავდება, ყველას ერთი და იგივე პრობლემა ვერ ექნება... 70-80% ბიჭებს ერთნაირი პრობლემები აქვთ.“ (კაცი, 17 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„ჩემი აზრით, პრობლემები განსხვავდება, მაგრამ ანუ ყველა ინდივიდუალურია... ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, ოჯახიდან გამომდინარე, მეგობრებისგან გამომდინარე.“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფში მონაწილეების ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში განათლების ხელმისაწვდომობა პრობლემური არ არის. მხოლოდ ერთი მონაწილე ამბობს, რომ „განთლებისთვისაც ბევრი არაფერი კეთდება, ვისურვებდი, რომ მეტი ინტელექტუალური კლუბები და პროექტები იყოს.“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი), თუმცა ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხია **დასაქმება**. 14-დან 26 წლამდე ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, ზოგადად, ახალგაზრდების სამუშაო ადგილებზე მიღებაც გამოწვევაა. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ ღირსეული კადრის დანიშვნა ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში ვერ ხდება, რადგან, შესაძლოა, საზოგადოებამ აღნიშნული ფაქტი აღიქვას, როგორც დაუმსახურებელი და ნეპოტიზმით განპირობებული ქმედება. რაც შეეხება 26-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს, მათი აზრით, პრობლემურია პროფესიის შესაბამისი სამუშაო ადგილებისა და

ზოგადად, დასაქმების სფეროების არამრავალფეროვანი, შეზღუდული რაოდენობა. აქვე ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი ფუნქციონირებს, რომელიც თავად უზრუნველყოფს სტუდენტების შემდგომ დასაქმებას.

„განათლების, ნიჭის მიუხედავად, მათ მართლა ისეთ ადგილებში უწევთ დასაქმება, სუპერმარკეტებში.... ფულის გამო უწევთ ძალიან დიდ დათმობებზე წასვლა.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამზარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„დასაქმების მხრივ, სიმართლე გითხრათ, ქობულეთში არ არის ისეთი დასაქმების სფეროები, როგორც ბათუმშია...იქ უფრო მეტი შესაძლებლობებია.“ (ქალი, 26 წლის, დაბა ჩაქვი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს უნდა შესთავაზოს ახალგაზრდული ცენტრი/სივრცე, სადაც ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება, ერთად დაგეგმონ აქტივობები/პროექტები და იზრუნონ მათ განხორციელებაზე. მონაწილეთა აზრით, უშუალოდ ახალგაზრდების ჩართულობით უნდა მოხდეს აღნიშნული სივრცის მოწყობა, რადგან ახალგაზრდებმა უკეთ იციან, თუ რა სურთ. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს არაფორმალური ტიპის აქტივობები უნდა შესთავაზოს, ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს საინტერესოდ, სახალისოდ და არაფორმალურ სივრცეში, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობას გაზრდის.

რაც შეეხება ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს, მათი აზრით, პრობლემები განსხვავდება ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, სოფლებში და განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარის სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობა, ინტერნეტსა და ინფორმაციაზე წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარებთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე, შეინიშნება ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა. რესპონდენტების აზრით, პრობლემურია მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებიც, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახლომდებარე ქალაქებში, ძირითადად კი ბათუმში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდებს განათლების ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას სკოლის განათლების ხელმისაწვდომობაზეც კი პრობლემა აქვთ, რაც სკოლის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასა და პედაგოგთა მცირე რაოდენობას უკავშირდება. გარდა ამისა, მისი თქმით, ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას ფინანსური შესაძლებლობაც მეტი აქვს, ვიდრე სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას იმისთვის, რომ საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე იზრუნოს. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკა მაღალმთიან სოფლებში სუსტია, რადგან დაგეგმვის ეტაპზე ახალგაზრდები არ არიან ჩართული. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისთვისაც გამოწვევაა, მიზეზად კი რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაგვიანებული გავრცელება და/ან

ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე არასაკმარისად დახარჯული რესურსი მიაჩნია, რადგან ზოგჯერ ორგანიზაციების მიდგომით, თავად ახალგაზრდა უნდა ეძებდეს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებაში დიდ რესურსს არ დებენ. გარდა ამისა, რესპონდენტს გამოწვევად მიაჩნია, სპორტული მოედნებისა და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ვიწრო ჯგუფზეა მორგებული.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სოფლებში ახალგაზრდებს თითქმის არ აქვთ თავშეყრის ადგილები, რის გამოც მათ ქალაქში ჩასვლა უწევთ ხოლმე, რაც მეორე პრობლემასთან - ტრანსპორტირებასთან არის დაკავშირებული, რადგანაც სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს. რესპონდენტის თქმით, ზოგადად, პრობლემურია სკოლის შემდგომ განათლებაზე ხელმისაწვდომობაც, ვინაიდან ქობულეთში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს, რის გამოც მუნიციპალიტეტს მიგრაციის პრობლემა წარმოეშობა - ახალგაზრდები სკოლის დასრულების შემდეგ, ხშირად ბათუმსა და თბილისში გადადიან საცხოვრებლად. ასევე, ახალგაზრდების საერთო პრობლემად მიაჩნია დასაქმების საკითხი, მისი თქმით, ახალგაზრდები ძირითადად სეზონურად საქმდებიან, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო სეზონური დასაქმებაც გამოწვევად იქცა. რაც შეეხება გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში ტარდება ხოლმე გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით.

„მაღალმთიან აჭარაში არის ღონისძიებების ნაკლებობა პირველ რიგში, მერე მეორე ბავშვებმა არ იციან როგორ მოიპოვონ ინფორმაცია, იმიტომ, რომ მართალია ასე თუ ისე ინტერნეტთან წვდომა დღეს უკვე აქვთ მაღალმთიან აჭარაში, მაგრამ არა ყველა სოფელში. ასევე სოფლებში ძალიან ცოტა ახალგაზრდა ცხოვრობს, იმიტომ, რომ ძირითადი ნაწილის მიგრაცია ხდება ქალაქებში, ან ბათუმში, თბილისში... მაღალმთიან აჭარაში ... ახალგაზრდული პოლიტიკა, მაინც მან სუსტია იქ და ახალგაზრდული პროგრამები იგეგმება კაბინეტებში და არა ახალგაზრდების მიერ.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„სოფლებში ეს უფრო მეტად ეს აისახება, პრობლემა ადამიანის შეკრების. იმიტომ რომ ცენტრები არ არის რომ შეიკრიბოს და უფრო მეტად უწევთ ქალაქში, ქობულეთში ჩამოსვლა. ცოტა ტრანსპორტის პრობლემაც შეიძლება იყოს... ტრანსპორტი იმიტომ, რომ სოფლებში კი იცით, გრაფიკით არის...“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ სმენია ისეთი პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს პასუხობს. მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის პროექტებში. არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე ეფექტური პროექტები ინტელექტუალური თამაშები, ესეების კონკურსი და სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული ტრენინგებია. ერთ-ერთი

მონაწილე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ბანაკების პროექტს გამოყოფს და თვლის, რომ აღნიშნული ფორმატი სასარგებლოა სხვადასხვა საკითხის შესახებ ცოდნის მისაღებად და ახალგაზრდის სოციალური წრის გასაფართოებლად. ზოგადად კი, არასრულწლოვანი მონაწილეები თვლიან, რომ ახალგაზრდებამდე ინფორმაცია თანაბრად მიდის, თუმცა ახალგაზრდებში ინტერესი ნაკლებია. ხოლო, სრულწლოვან მონაწილეთა საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ძირითად ნაწილს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების/პროექტების შესახებ არ აქვთ.

„მუნიციპალიტეტის მხრიდან, სიმართლე გითხრათ, არ მსმენია, რომ მსგავსი პროექტი ჰქონოდათ.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„ყველაზე დიდად, სიმართლე გითხრათ, ანუ გამგეობის განხორციელებული პროექტებიდან და სახელმწიფოს მხრიდან მომეწონა ბანაკები, რომ ტარდება ანაკლიაში... „მომავლის ბანაკი“ ერქვა, მგონი, თუ არ ვცდები.“ (კაცი, 17 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს მეტი აქტივობები, პროექტები უნდა შესთავაზოს. ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ქობულეთი საკურორტო ქალაქად ითვლება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მეტი ყურადღება მართებს ქალაქის სისუფთავის მიმართ და აუცილებელია, მეტი სანარჩენე კონტეინერების განთავსება, ხოლო საზოგადოებისთვის საკუთარი წილი პასუხისმგებლობის აღების მიზნით, საინფორმაციო კამპანიების წარმოება, ბუკლეტების დარიგება და საინფორმაციო დაფების განთავსება.

რაც შეეხება სრულწლოვანი ახალგაზრდების ჯგუფებს, მათი ძირითადი ნაწილი ვერ აკონკრეტებს, რა მიმართულებით ისურვებდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გააქტიურებას. მცირე ნაწილის აზრით, სასურველია, ახალგაზრდული ბანაკების, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტის მერიას უნდა ჰქონდეს ახალგაზრდობასთან უფრო ხშირი კონტაქტი და კომუნიკაცია.

„მიმაჩნია, რომ საჭიროა, მუნიციპალიტეტმა დაანახოს, ახალგაზრდებს მოხდეს უშუალოდ გასაუბრება მათ შორის, უფრო ხშირი კონტაქტი დამყარდეს მერიასა და ახალგაზრდებს შორის, რათა ბავშვებმა მიხვდნენ, იგრძნონ ნამდვილად დიდი ყურადღება მუნიციპალიტეტისგან და მერიისგან და მათი სურვილიც და მოტივაციაც უფრო გაიზრდება.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალაშხარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების ძირითად ნაწილს ინფორმაცია ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არ აქვს. ერთ მონაწილეს სმენია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, რომლის მიერ განხორციელებულ პროექტში აქტიურად იყო ჩართული და რომელიც უცხოელი ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, საკუთარი ქალაქის განვითარების წარდგენის იდეების გენერირებას ითვალისწინებდა. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეთა ჯგუფებს, მხოლოდ ორ მონაწილეს სმენია „CENN -კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო

ორგანიზაციის“ შესახებ და მის მიერ ორგანიზებულ გარემოსდაცვით პროექტებსა და ბანაკებზე. ასევე, მხოლოდ ერთ მონაწილეს აქვს ისეთ პროექტში მონაწილეობის გამოცდილება, რომლის მიზანიც მათ თემში/სოფელში არსებული პრობლემების განსაზღვრასა და გადაჭრის გზების პოვნას წარმოადგენდა.

ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სასურველია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებს გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ბანაკებში მონაწილეობა შესთავაზონ. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასურველია, ახალგაზრდებს შესთავაზონ ტრენინგები, თუ როგორ აწარმოონ კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან და როგორ მოაწყონ სოციალური თემატიკის კამპანიები. ერთ-ერთი მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს კომპიუტერულ თამაშებში ტურნირის ჩატარების იდეასაც სთავაზობს.

„შორეული ოცნებაა, თუმცა გაცვლითი პროგრამები კარგი იქნებოდა უცხო ქვეყნებში და საზაფხულო ბანაკები.“ (ქალი, 16 წლის, ქლაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები და აქტივობები ახალგაზრდების ადგილობრივ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც წესი, ახალი აქტივობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ონლაინ მეთოდებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს მიმართავენ, დაინტერესებული ახალგაზრდებისგან კი ქმნიან ჯგუფს, რომელიც კონკრეტულ პროექტში ჩაერთვება. მეორე რესპონდენტი კი, რომელიც ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამბობს, რომ მათი პროექტები ძირითადად კულტურული ღონისძიებებისგან შედგება. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე, ონლაინ მეთოდებს მიმართავენ. ორივე შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროექტები ინკლუზიურია და თითოეულ პროექტში 30-დან 60-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი ამ მხრივ არსებულ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ კონკრეტული ახალგაზრდების პროექტში ჩართვას, რადგან მათ რიგ შემთხვევებში, ხელს ტრანსპორტი უშლით, ხოლო ზოგჯერ მშობელს არ რთავს ნებას ახალგაზრდას, რომ ჩაერთოს აქტივობაში.

მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ამის დასადაგენად კი კვლევებს ატარებენ ხოლმე, ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში კვლევით მიღებული ინფორმაციის განახლება სამ წელიწადში ერთხელ ხდება, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში კი თითოეული პროექტის დაწყების წინ გონებრივ იერიშსა და ფოკუს ჯგუფების მეთოდს მიმართავენ, ამ პროცესში კი ბენეფიციარები ჰყავთ ჩართული. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, მათ მიერ განხორციელებული პროექტები/პროგრამები ეფექტურია, ხოლო ეფექტურობაზე პროექტების შედეგები მეტყველებს, მაგალითად, დღეს ბევრად მეტი ახალგაზრდაა ჩართული ადგილობრივს დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვიდრე სამი წლის წინ, რაც მათი პროექტების ძირითად მიზანს წარმოადგენდა. გარდა

ამისა, რესპონდენტის თქმით, დროდადრო ხდება პროექტის შეფასება და შედეგების ანალიზი.

„ბოლო 5 წელია განსაკუთრებულად ვმუშაობთ, სამიზნე ჯგუფია ახალგაზრდები. დავინახეთ, რა რო თვითმმართველობებში ახალგაზრდების მონაწილეობა არის ძალიან მინიმალური, ამიტო ერთ-ერთ სეგმენტად ავირჩიეთ, სამიზნე ჯგუფად ავირჩიეთ ახალგაზრდების როლის გაზრდა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში და მათი ასე ვთქვათ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„გვყავს ბენეფიციარების ნაწილი, რომელიც ვერც ერთ ღონისძიებაზე ვერაფრით ვერ მოვიყვანეთ. დავადგინეთ მიზეზები, ერთს ტრანსპორტირების პრობლემა აქვს იმიტომ, რომ ცოტა შორს ცხოვრობს და ავტობუსი მასთან არ მიდის, მეორეს მშობელი არ უშვებს და მარტო ვერ მოდის და მშობელს ყოველთვის არ სცალია და ასე შემდეგ. ამიტომ ეხლა, რადგანაც ყველაფერი ონლაინ ამბავში გადავიდა, გვაკეთეთ ახალგაზრდების ასე ვთქვათ, ჩატი ცალკე, სადაც ამ ინფორმაციებს ვაზიარებთ.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ატარებს შეხვედრებს ახალგაზრდებთან, ყველაზე ხშირად კი სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებთან. შეხვედრები ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვამდე ტარდება, რომ შემდგომში ახალგაზრდების სურვილები გათვალისწინებული იყოს დაგეგმილ ღონისძიებებში. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰქონიათ ინკლუზიური პროექტებიც, მაგალითად, ექსკურსია სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად. ასევე, რესპონდენტი ამბობს, რომ სოფლებში ახალგაზრდული საბჭოების მსგავსი სტრუქტურა იყო შექმნილი, სადაც ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ აქტივობებს, ხოლო მუნიციპალიტეტისგან ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო დროებით ეს აქტივობა შეწყდა. რესპონდენტის თქმით, აქტივობების შეფასების მექანიზმები შემუშავებული არ აქვთ და შესაბამისად, არ ხდება მათი ეფექტურობის შეფასება. გარდა აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობისა, რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების დასაქმების ხელშემწყობ აქტივობებსაც ახორციელებენ, კონკრეტულად კი კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აწყობენ და ცდილობენ, ინფორმაციის მოპოვებას ვაკანტური ადგილების შესახებ, მოგვიანებით, კი ინფორმაციას ფეისბუქ გვერდის საშუალებით აქვეყნებენ.

„ყველა საჭიროებები გათვალისწინებულია. შშმ პირებისაც, ეთნიკურ მხარესაც ვითვალისწინებთ... ასე თუ ისე ადაპტირებული არის ჩვენი მუნიციპალიტეტი და ვცდილობთ, რომ სადაც შეიძლება ეს ახალგაზრდები ჩავრთოთ, თუ გინდა დასაქმების მხრივ, თუ გინდა ღონისძიებების მხრივ. ყოველთვის ვცდილობთ, ეს ადამიანები ჩავრთოთ და არ გვყავდეს გარიყულები.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მცირე ნაწილი კი ამბობს, რომ ჩართულია და შეუძლიათ, მხოლოდ ერთეული მაგალითების მოყვანა, როდესაც

ახალგაზრდები თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტთან, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების მოტივაციის არქონითა და ინტერესის ნაკლებობით არის განპირობებული. იმავე აზრს ავითარებს სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და იმედს გამოთქვამს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდებიან.

„ჩემს სკოლაში სწავლობს 200 ბავშვი, აქედან ვიყავით 2 ბავშვი ჩართულნი, იქიდან გამომდინარე, რომ დანარჩენი ბავშვები საერთოდ არანაირ მონაწილეობას არ ღებულობენ და არ იყენენ დაინტერესებულნი ვფიქრობ, რომ არ არის საკმარისი... ალბათ, არ აინტერესებთ არ თვლიან პრიორიტეტად.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ ზოგადად, ახალგაზრდები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა იყვნენ აქტიურნი. მცირე ნაწილი თვლის, რომ ახალგაზრდების აქტიურობა მიმართული უნდა იყოს ისეთ პროექტებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მომავალი პროფესიის სწორად შერჩევას. ერთ-ერთი მონაწილე მნიშვნელოვნად თვლის, გარემოსდაცვითი მიმართულებით ახალგაზრდების გააქტიურებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს პრობლემა მწვავე და აქტუალურია მუნიციპალიტეტში. ასევე, ერთ-ერთი მონაწილის აზრით, უნდა ხდებოდეს პრობლემების შეფასება მათ თემში და შემდგომ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მაგალითად, რესპონდენტის თქმით, როცა სოფელში ადრეული ქორწინების მწვავე პრობლემა იყო, ახალგაზრდებმა დაგეგმეს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია და შეეცადნენ საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, ხოლო უშუალოდ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას ახალგაზრდები თავადაც შეძლებენ. ერთ-ერთ მონაწილეს მაგალითის სახით მოყავს ახალგაზრდების ინიციატივა, რომელიც უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფრების მოწყობას გულისხმობდა და რომელიც დაფინანსდა მუნიციპალიტეტის მიერ, რესპონდენტი თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის მსგავსი მხარდაჭერის ფორმა მნიშვნელოვანია.

„ფინანსური მხარდაჭერაა, ჩემი აზრით, მთავარი ანუ ახალგაზრდებს ბევრი წამოწყება ჰქონიათ, მაგრამ ფინანსები, რომ არ გვაქვს და რაიმე ამ ყველაფერს ვერ ვახერხებთ... ძაღლებისთვის გვინდოდა თავშესაფრის დადგმა და მუნიციპალიტეტი ბევრჯერ, რომ შევაწუხებთ და რომ დავანახეთ ჩვენი მონდომება, მათაც მხარი დაგვიჭირეს.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„მე ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა დაანახოს ახალგაზრდებს, რომ ისინი მათ ყველა წამოწყებას, რა თქმა უნდა, გულიანად შეხედავენ.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება და ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. თუმცა, ჯერჯერობით პანდემიის გამო მიმდინარე აქტივობები შეჩერებულია და რესპონდენტი იმედს გამოთქვამს, რომ მალე განახლდება შეწყვეტილი აქტივობები.

„უფრო მეტად კიდევ მუშაობა ახალგაზრდებთან საჭიროა, კიდევ უფრო მეტი შეხვედრები. ინფორმაციის უფრო მეტი წვდომა რომ ქონდეს ახალგაზრდებს ყველა პროექტებსა და ღონისძიებებზე... გვინდა, რომ ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, ქალაქში მცხოვრებისთვის, სოფელში მცხოვრებისთვის და ამისთვის გამოვიყენოთ ინტერნეტი, რწმუნებულები და ყველა.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამომავლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ასევე, რეგიონალური ცენტრების დამოუკიდებელ იურდიულ პირად გარდაქმნისთვის მუნიციპალიტეტებთან მუშაობას გეგმავენ, რომ რეგიონალურ ცენტრებს მიეცეს საშუალება, დამოუკიდებლად ჩაატაროს ღონისძიებები. მეორე რესპონდენტის თქმით კი, არასამთავრობო ორგანიზაციის სამომავლო გეგმებში ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება შედის.

„გადავწყვიტეთ ესეთი რაღაცა, ანუ ჩვენი ბენეფიციარების ჯგუფი უნდა დავყოთ, ასე ვთქვათ, რაღაც გარკვეული ნიშნებით. კონკრეტული ჯგუფები უნდა იყოს და მათთან საკომუნიკაციოდ უნდა მივამაგრო თავიანთი ჯგუფის წარმომადგენელი, ასე ვთქვათ, ვინც იქნება მისთვის ყველაზე მეტად სანდო და ერთგვარად „ინფლუენსერიც“. ეს მაქვს ამ ეტაპზე გეგმაში, რომ ჩვენი შედეგები უფრო მეტად გაიზარდოს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობას დადებითი მოლოდინი აქვს მუნიციპალიტეტის საქმიანობისადმი. მათი აზრით, ახალგაზრდების აქტიურობა პირდაპირ დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის აქტიურ მხარდაჭერასთან და შესაბამისად, მოუწოდებენ ახალგაზრდებს გააქტიურებისა და მოტივაციის ამაღლებისაკენ. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტები და აქტივობები ახალგაზრდებთან უნდა იყოს შეთანხმებული და მათ საჭიროებებზე მორგებული. ასევე, იმედოვნებს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან, კიდევ უფრო მეტი ჩართულობა და ინიციატივების მხარდაჭერა მოხდება.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას კვლევაში მონაწილეები სხვადასხვა სახის პრობლემაზე საუბრობენ. თავად ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების

საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და პროექტების ნაკლებობაა. მათი აზრით, სხვა ქალაქებთან შედარებით, ქობულეთში ახალგაზრდებს ნაკლები პერსპექტივა აქვთ. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ზოგადად, ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხია დასაქმება. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, პრობლემური საკითხია, ზოგადად, ახალგაზრდების სამუშაო ადგილებზე მიღება და დასაქმების სფეროების შეზღუდული რაოდენობა. ასევე, მათი აზრით, პრობლემაა ახალგაზრდების მხრიდან სხვადასხვა აქტივობისადმი ინტერესის ნაკლებობა, მოტივაციის არქონა და არაინფორმირებულობა. გარდა ამისა, ახალგაზრდების ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტში არ არის ახალგაზრდული სივრცეები. მათი აზრით, ახალგაზრდებს სჭირდება ისეთი სივრცე, სადაც შეძლებენ თავშეყრას, იდეების გაცვლას, თვითრეალიზაციას და თავისუფალი დროის გატარებას.

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს ახალგაზრდული ცენტრი/სივრცე უნდა შესთავაზოს, სადაც მათ ექნებათ საშუალება, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ აქტივობები/პროექტები. მონაწილეთა აზრით, აღნიშნული სივრცის მოწყობა უშუალოდ ახალგაზრდების ჩართულობით უნდა მოხდეს, რადგან ახალგაზრდებმა უკეთ იციან, თუ რა სურთ. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა შესთავაზოს ახალგაზრდებს არაფორმალური ტიპის აქტივობები, ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს საინტერესოდ, სახალისოდ და არაფორმალურ სივრცეში, რაც ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობას გაზრდის.

რაც შეეხება ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მოსაზრებებს ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ, მათი აზრით, პრობლემები განსხვავდება ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობა, ინტერნეტსა და ინფორმაციაზე წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარებთან დაკავშირებული პრობლემა. ასევე პრობლემურია ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა. რესპონდენტების აზრით, მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებიც გამოწვევაა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახლომდებარე ქალაქებში, ძირითადად კი ბათუმში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდებს განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვთ, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას, რადგან სოფლად სკოლის ინფრასტრუქტურა - გაუმართავი, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა მცირეა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკა მაღალმთიან სოფლებში სუსტია, მიზეზად კი პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობას ასახელებს. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისთვისაც პრობლემურია, მიზეზად კი რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაგვიანებული გავრცელება და/ან ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე არასაკმარისად დახარჯული რესურსი მიაჩნია. გარდა ამისა, რესპონდენტს გამოწვევად მიაჩნია, სპორტული მოედნებისა და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ვიწრო ჯგუფზეა მორგებული.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სოფლებში ახალგაზრდებს თითქმის არ აქვთ თავშეყრის ადგილები, რის გამოც მათ ქალაქში ჩასვლა უწევთ ხოლმე, რაც თავის მხრივ, ტრანსპორტირების პრობლემას უკავშირდება, რადგანაც სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს. რესპონდენტის თქმით, გამოწვევაა სკოლის შემდგომ განათლებაზე ხელმისაწვდომობაც, ვინაიდან ქობულეთში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს, რის გამოც მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების თბილისსა და ბათუმში გადინება ხდება. ასევე, ახალგაზრდების პრობლემად მიაჩნია დასაქმების საკითხი, მისი თქმით, ახალგაზრდები ძირითადად სეზონურად საქმდებიან, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო სეზონური დასაქმებაც გამოწვევად იქცა. რაც შეეხება გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში ტარდება ხოლმე გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით.

საინტერესოა, რომ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ სმენია მუნიციპალიტეტში განხორციელებული/დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს პასუხობს. მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფის ნაწილი ამბობს, რომ მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვადასხვა პროექტში. არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე ეფექტური ინტელექტუალური თამაშები, ესეების კონკურსი და ტრენინგები სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული პროექტებია. არასრულწლოვანი მონაწილეები თვლიან, რომ ახალგაზრდებამდე ინფორმაცია თანაბრად მიდის, თუმცა ახალგაზრდებში ინტერესი ნაკლებია. ხოლო, სრულწლოვან მონაწილეთა საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ძირითად ნაწილს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების/პროექტების შესახებ არ აქვთ. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს მეტი აქტივობა, პროექტები უნდა შესთავაზოს. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ შემოთავაზებულ ტრენინგებს არაფორმალური, სახალისო შეხვედრების ფორმატი უნდა ჰქონდეს, რომ ახალგაზრდების მხრიდან ინტერესი გაიზარდოს. რაც შეეხება სრულწლოვანი ახალგაზრდების ჯგუფებს, მათი ძირითადი ნაწილი ვერ აკონკრეტებს, რა მიმართულებით ისურვებდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გააქტიურებას. მცირე ნაწილის აზრით, სასურველია, ახალგაზრდული ბანაკების, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ასევე ნაკლებად ინფორმირებულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობენ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სასურველია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებს გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ბანაკებში მონაწილეობა შესთავაზონ. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასურველია, ახალგაზრდებს შესთავაზონ ტრენინგები, თუ როგორ აწარმოონ კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან და როგორ მოაწყონ სოციალური თემატიკის კამპანიები. ერთ-ერთი მონაწილე კომპიუტერულ თამაშებში ტურნირის ჩატარების იდეასაც სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციებს.

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები და აქტივობები ახალგაზრდების ადგილობრივ

მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც წესი, ახალი აქტივობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ონლაინ მეთოდებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს მიმართავენ. მეორე რესპონდენტი კი, რომელიც ასევე არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამბობს, რომ მათი პროექტები ძირითადად კულტურული ღონისძიებებისგან შედგება. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე, ონლაინ მეთოდებს მიმართავენ. ორივე შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროექტები ინკლუზიურია, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი ამ მხრივ არსებულ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ კონკრეტული ახალგაზრდების პროექტში ჩართვას, რადგან მათ რიგ შემთხვევებში, ხელს ტრანსპორტი უშლით, ხოლო ზოგჯერ მშობელს არ რთავს ნებას ახალგაზრდას, რომ ჩაერთოს აქტივობაში. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტებს დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ამის დასადაგენად კი კვლევებს ატარებენ ხოლმე.

რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ხშირად ატარებს შეხვედრებს ახალგაზრდებთან და ყველაზე ხშირად კი სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებთან. შეხვედრები ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვამდე ხორციელდება, რომ შემდგომში დაგეგმილ ღონისძიებებში ახალგაზრდების სურვილები გათვალისწინებული იყოს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰქონიათ ინკლუზიური პროექტებიც, მაგალითად, ექსკურსია სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, სოფლებში ახალგაზრდული საბჭოების მსგავსი სტრუქტურა იყო შექმნილი, სადაც ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ აქტივობებს, ხოლო მუნიციპალიტეტისგან ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო დროებით ეს აქტივობა შეწყდა.

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, თუ რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მცირე ნაწილი კი ამბობს, რომ ჩართულია და შეუძლიათ, ერთეული მაგალითების მოყვანა, როდესაც ახალგაზრდები თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტთან, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების მოტივაციის არქონითა და ინტერესის ნაკლებობით არის განპირობებული. იმავე აზრს ავითარებს სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და იმედს გამოთქვამს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდებიან.

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება და ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამომავლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ასევე, რეგიონალური ცენტრების დამოუკიდებელ იურდიულ პირად გარდაქმნისთვის მუნიციპალიტეტებთან მუშაობას გეგმავენ, მათი აზრით, ეს ხელს შეუწყობს რეგიონალურ ცენტრებს, დამოუკიდებლად ჩაატაროს რაიმე ღონისძიება. მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის სამომავლო გეგმებში კი ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას შედის.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები აქვს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ახალგაზრდების აქტიურობა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის აქტიურ მხარდაჭერასთან და შესაბამისად მოუწოდებენ ახალგაზრდებს გააქტიურებისა და მოტივაციის ამაღლებისაკენ. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტები და აქტივობები ახალგაზრდებთან უნდა იყოს შეთანხმებული და მათ საჭიროებებზე მორგებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 369 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 29 წლამდე მერყეობს. მათგან 152 ახალგაზრდა (41%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 142 ახალგაზრდა (38%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 75 ახალგაზრდაა (20%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 62% მდებდრობითი სქესის, ხოლო 36% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 3%-მა კი არ ისურვა სქესის მითითება (იხ. დანართი, ცხრილი 2). მათი უმრავლესობა (62%) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცხოვრობს, დაახლოებით მესამედი (30%) ქალაქ ქობულეთში, ხოლო 9% - დაბის ტიპის დასახლებაში (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ქობულეთში გამოკითხული ახალგაზრდების 39% სკოლის მოსწავლეა, დაახლოებით მეოთხედი (26%) კი სტუდენტია (უნივერსიტეტის სტუდენტი - 18%, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი - 8%). რესპონდენტების 17% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უკვე დაასრულა, ხოლო მეათედს (11%) საშუალო განათლება აქვს მიღებული (იხ. დანართი, ცხრილი 20).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (70%) და არ ჰყავს შვილი (78%). რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (99%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 84, 86 და 88).

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (34%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხულთა 43%, ხოლო 23% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური. 14-17 წლის ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი - 24% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, 18-24 წლის ახალგაზრდების 19% მიიჩნევს იმავეს, ასევე 25-29 წლის ახალგაზრდების 27% იზიარებს იმავე მოსაზრებას (იხ. დანართი, ცხრილი 53). ამასთანავე, მდებდრობითი სქესის წარმომადგენელთა 22% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლების 24% ფიქრობს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 53a).


მათგან, ვინც აცხადებს რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალური ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, მეხუთედი (21%) აცხადებს, რომ მოუსმენია მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 18% აცხადებს, რომ გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით. სხვა პასუხები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

რამი გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-24 წელი ■ 25-29 წელი




შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების 47% ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის იგივე წილი (46%) ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო 8%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 49). კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (77%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (55%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 51).

ზოგადად, რესპონდენტთა 33% ფიქრობს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 26%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო 42% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 52).

კვლევისთვის საინტერესო იყო ახალგაზრდების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საჯარო ინსტიტუტის მიმართ, რისთვისაც ახალგაზრდებს სთხოვეს, მოენიშნათ არაუმეტეს 5 ინსტიტუტისა, რომელსაც ენდობიან. ყველაზე ხშირად გამოკითხული ახალგაზრდები ნდობას საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას (34%), საქართველოს ჯარსა (30%) და საქართველოს მთავრობას (29%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

რომელ პოლიტიკურ, საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ენდობით ყველაზე მეტად? (%)
 შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 5 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც ჩანს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებითა (67%) და ტელევიზიით (53%) იღებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (35%) და ადგილობრივი ხელისუფლება (18%). ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ინფორმაციას ბეჭდური მედიისა (2%) და რადიო ან პოდკასტის საშუალებით იღებენ (1%). ასევე, გამოკითხულთა 5% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას (იხ. დანართი, ცხრილი 55).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 8% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენჯერმე მიიღო მსგავს აქტივობაში მონაწილეობა 16%-მა, ერთხელ მიიღო მონაწილეობა 4%-მა, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 72%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 56). მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 40%-ს წარმოადგენს 18-25 წლის ახალგაზრდები, 37%-ს შეადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, ხოლო 23%-ს 26-29 წლის ახალგაზრდები შეადგენს.

რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 16%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, ასევე 16% ამბობს, რომ არ ჰქონდა დრო, ხოლო 19%-ს კი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 და ცხრილი 57_8).

რაც შეეხება ჩართულობის ხარისხს, იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (28%), 9% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, ასევე, 12%-ის განცხადებით მიაწოდეს ინფორმაცია, ხოლო მხოლოდ 8% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 3%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 - ცხრილი 58_6).

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარს (50%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 31%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 20%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. მათგან ვისაც მსგავს პროგრამაში/პროგრამებში მიუღია მონაწილეობა უმრავლესობა (79%) დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად - 11%, დადებითად - 68%) (იხ. დანართი, ცხრილი 14 და ცხრილი 15).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედს (21%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (79%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 17).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

ქობულეთში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. მეხუთედი (20%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხს საშუალოდ აფასებს, უკმაყოფილებას (უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო) კი მხოლოდ 6% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 21).

რაც შეეხება ახალგაზრდების მიერ უცხო ენის ცოდნას, უმრავლესობა ამბობს, რომ ფლობს ერთ უცხო ენას მაინც (60%) - ყველაზე ხშირად კი ინგლისურ ენას (73%) (იხ. დანართი, ცხრილი 22, ცხრილი 23_1 - ცხრილი 23_6).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, ახალგაზრდების ჩართულობა უწყვეტ განათლებაში. გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (55%) ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, 28% ამბობს, რომ რამდენჯერმე ყოფილა, ხოლო 17% ამბობს, რომ ბევრჯერ მომხდარა მსგავსი შემთხვევა (იხ. დანართი, ცხრილი 24 და ცხრილი 25). მათგან ვინც ამბობს, რომ სურდა დასწრება ტრენინგზე, მაგრამ ხელი შეეშალა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად

დროის უქონლობას (44%), ინფორმაციის არქონასა (23%) და საჭირო თანხის არქონას (22%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 26_1 - ცხრილი 26_6).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს (იხ. დანართი, ცხრილი 27), მაგრამ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი პროფესიულ განათლებასა (58%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (61%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_3 და ცხრილი 79_4)¹.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (80%) და ინტერნეტთან (95%) ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (71%) თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია (იხ. დანართი, ცხრილი 28, 29 და 30). ზოგადად, მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (69%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (62%), ასევე ხშირად გასართობად (51%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (51%) (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 - ცხრილი 31_7).


დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 8% დასაქმებულია, 35% ეძებს სამუშაოს, ხოლო 57% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, მესამედზე მეტი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (23%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უმრავლესობა (58%) ეძებს სამსახურს, 18% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მესამედი (32%) სამსახურს ეძებს, ხოლო 5% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

¹ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

ხართ თუ არა დასაქმებული? (%)



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 44% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 39% - კერძო ორგანიზაციაში (იხ. დანართი, ცხრილი 40_1 - ცხრილი 40_8). დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს (60%), ასევე უმრავლესობაა ხელშეკრულებით დასაქმებული (73%). სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა (60%) საშუალოდ კვირაში 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 40% კვირაში საშუალოდ 42-დან 100 საათამდე მუშაობს (იხ. დანართი, ცხრილი 44).


დასაქმებული სრულწლოვანი გამოკითხულების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, დაახლოებით მეოთხედი (24%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 1% ამბობს, რომ სამსახურით უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 45).

რაც შეეხება გამოკითხულ სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (63%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას (28%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (26%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (17%) ასახელებენ. მეხუთედი (20%) კი ამბობს, რომ უმუშევრობის კონკრეტული მიზეზი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 18-25 წლის ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 26-29 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 4). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (53%) და სტაჟირების შესაძლებლობა (52%) დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_8).

დიაგრამა 4

რა არის თქვენი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია. ასევე, ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა (54%) და სამუშაო ადგილის უსაფრთხოება (58%) მათთვის პრობლემური საკითხებია (იხ. დანართი, ცხრილი 79_5, 79_6 და 79_7)². საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები.

გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი (49%) ამბობს, რომ მათთვის საკმარისი რაოდენობის ფინანსების არქონა პრობლემურია. დაახლოებით მესამედისთვის (30%) - ნაკლებად პრობლემური, ხოლო 21% აღნიშნულ საკითხს საშუალოდ პრობლემურად აფასებს (იხ. დანართი, ცხრილი 79_2)³. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხსაც პრობლემურად მიიჩნევს. მესამედზე მცირედით ნაკლები (29%) ნაკლებად პრობლემურად, ხოლო 19%-ისთვის საშუალოდ პრობლემურია (იხ. დანართი, ცხრილი 79_3)⁴. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე

² პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

³ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

⁴ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

რესპონდენტები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები


კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (65%), კითხულობენ წიგნს (49%), უსმენენ მუსიკას (43%) და/ან უყურებენ ტელევიზორს (25%). სხვა ტიპის აქტივობები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 5

ჩამოთვლილთაგან, ყველაზე ხშირად, რომელ აქტივობებს ახორციელებთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს 7 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 29% გამოთქვამს, მესამედზე მეტი (39%) კი ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების მდგომარეობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 7). ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) თვლის, რომ დასვენება მათთვის პრობლემურია, თითქმის მეხუთედი (18%) მეტ-ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს, ხოლო მესამედზე ნაკლები (28%) ნაკლებად

პრობლემურად. გარდა ამისა, გამოკითხულთა 45% თვლის, რომ გართობა პრობლემური საკითხია, დაახლოებით მეოთხედი (23%) საკითხს მეტ-ნაკლებად პრობლემურად აფასებს, ხოლო მესამედი (33%) - ნაკლებად პრობლემურად (იხ. დანართი, ცხრილი 79_15 და ცხრილი 79_16)⁵.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, კმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 38% გამოთქვამს, უკმაყოფილებას კი - 24%. საინტერესოა, რომ კმაყოფილებას უფრო მეტი 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდა გამოთქვამს, ვიდრე - 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდები. გამოკითხული ახალგაზრდების 38% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს და ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა. (იხ. დანართი, ცხრილი 8).


კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრისა (45%) და ახალგაზრდობის კლუბის (36%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (28%), ბიბლიოთეკისა (28%), სკვერების/ბაღებისა (28%) და ბანაკების (23%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 26-29 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 2). ასევე, საინტერესოა, რომ ბიბლიოთეკების ფუნქციონირება თითქმის ორჯერ უფრო მეტ მდებარეობითი სქესის წარმომადგენელს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელს, ხოლო სტადიონის ფუნქციონირება - პირიქით, მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, თითქმის ოთხჯერ მეტ მამრობითი სქესის წარმომადგენელს სურს (იხ. დანართი, ცხრილი 9_4a, 9_8a).

დიაგრამა 6

⁵ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 43%-ის თქმით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. მეოთხედი (25%) კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო დაახლოებით მესამედს (33%) ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 10). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (74%) და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და დასაგეგმად გამოუყენებია (48%). რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლია სივრცით (26%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის შესახებ ინფორმაციის არქონასა (9%) და საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობას ასახელებენ (8%) (იხ. დანართი, ცხრილი 11, 12 და 13).

მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში⁶. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 2% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ხოლო


⁶ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

უმრავლესობის - 69%-ის განცხადებით არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 59).

დიაგრამა 7

გასული 12 თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (31%), 46% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი (23%) აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 6% ჩართული იყო სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარებასა და მონაწილეობაში. ასევე 6% აცხადებს, რომ ჩართული იყო საქველმოქმედო აქციებში (იხ. დანართი, ცხრილი 60).

რაც შეეხება მოხალისეობის სიხშირეს, გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მცირედით ნაკლები (31%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული იყო წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე, გამოკითხულთა იმავე წილის - 31%-ის განცხადებით, ამ საქმიანობით დაკავებული იყო თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, 19% - კვირაში ერთხელ (იხ. დანართი, ცხრილი 61).

მოხალისეობის მოტივად რესპონდენტთა უმრავლესობამ (59%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 35%-მა - სიახლეების სწავლა, ასევე 35%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 34%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 28%-მა - თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის (იხ. დანართი, ცხრილი 62_1 - ცხრილი 62_7).


ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (69%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 18%-ს კი არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8

რა ფაქტორის/ფაქტორების გამო ვერ/არ მოხალისეობთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


სპორტული აქტივობები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (28%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 28%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 64%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს კალათბურთი (6%) (იხ. დანართი, ცხრილი 67). იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (30%), საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (20%), სურვილის ნაკლებობას (22%), არასაკმარის ფინანსურ შესაძლებლობას (17%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად (ვარჯიში, სპორტი ან სხვა) (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავენე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 86% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 76%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 94% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 88% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 69, 70 და 71). მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 37% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 11% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 70a).

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (56%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი ეწევა სიგარეტს, ხოლო უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 72_1 და ცხრილი 72_3).

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (78%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (77%) (იხ. დანართი, ცხრილი 72_2 და ცხრილი 72_4).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი (51%) აცხადებს,

რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 14-17 წლის ახალგაზრდების 51%, 18-25 წლის ახალგაზრდების 41% და 26-29 წლის ახალგაზრდების 57% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 74). შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ პრობლემურია, მათ შორის, 53% პროცენტის აზრით, ძალიან პრობლემურია. ახალგაზრდების მხოლოდ 25% ფიქრობს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ არის პრობლემური (იხ. დანართი, ცხრილი 79_8). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 81% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (იხ. დანართი, ცხრილი 75). ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 47% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 19% ამბობს, რომ არ ენდობა მათ (იხ. დანართი, ცხრილი 76_1 - ცხრილი 76_6).

გამოკითხული ახალგაზრდების 88% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის. ისინი, ვინც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასული 12 თვის განმავლობაში, ამის მიზეზად 66% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 52% კი ამბობს, არ იცოდა ვისთვის მიემართა, ხოლო 16% ამბობს, რომ არ სურდა ამის შესახებ ვინმეს გაეგო (იხ. დანართი, ცხრილი 77, ცხრილი 78_1 და ცხრილი 78_6).


მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 22%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 18%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 10). მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები განათლების მიღებისა (33%) და დასაქმების (31%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ასევე, 23% საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ხოლო 25% საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებს (იხ. დანართი, ცხრილი 81).

დიაგრამა 10

გსურთ თუ არა ქვენი მუნიციპალიტეტიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით




შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ არ სურს ქვეყნიდან წასვლა (იხ. დიაგრამა 11). ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (33%), განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობას (31%), ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (23%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 83_1 - ცხრილი 83_9). ამასთანავე, რესპონდენტთა ნახევარზე მცირედით მეტი (52%) ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციას ნაკლებად პრობლემურ საკითხად არ მიიჩნევს, ხოლო ახალგაზრდების 35%-ს კი ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია (იხ. დანართი, ცხრილი 79_20).

დიაგრამა 11

გსურთ თუ არა თქვენი ქვეყნიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით ნაკლები ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული, თუმცა მათი უმრავლესობა თვლის, რომ ძალიან აქტიური, აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქეა. მათი აქტიურობა კი ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღებაში გამოიხატება. ასევე, მეოთხედი აცხადებს, რომ მოუსმენიათ მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, მცირედი ნაკლებს კი გამოუხატავს საკუთარი აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების 41% ფიქრობს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო 26%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული. რესპონდენტები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებითა და ტელევიზიით იღებენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობის არმიღების მთავარი მიზეზი არაინფორმირებულობაა - ყოველი მესამე ახალგაზრდა ამბობს, რომ მსგავსი აქტივობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა

მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში და მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს. ხოლო გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედს თავად მიუძღვრება მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის/ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება ახალგაზრდების განათლების საკითხებს, ქობულეთში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. უმრავლესობა მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა ახალგაზრდების ნახევარზე მეტი პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს.

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი - 39% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, ნახევარზე ნაკლები - 45% ამბობს, რომ მომხდარა მსგავსი შემთხვევა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობა, ინფორმაციის არქონა და საჭირო თანხის არქონა დაასახელეს.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად, გასართობად და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ.

კვლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების საკითხებსაც სწავლობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, თითქმის ყოველი მეოთხე 18-25 წლის ახალგაზრდა ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო უმრავლესობა ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება რესპონდენტებს 26-დან 30 წლამდე, მათი უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმებულია.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 44% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 39% - კერძო ორგანიზაციაში. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა სრულ განაკვეთზეა დასაქმებული და კვირაში, საშუალოდ, 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო მესამედზე მეტი (40%) კვირაში, საშუალოდ, 44სთ-დან 100 საათამდე მუშაობს. დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.

რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (63%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არქონასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ 18-25 წლის გამოკითხულები უმუშევრობის მიზეზად ვაკანსიების

შესახებ ინფორმაციის არ ქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 26-29 წლის რესპონდენტები.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია, ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოება მათთვის პრობლემური საკითხებია. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს პრობლემურად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

კვლევა ასევე სწავლობდა იმას, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, კითხულობენ წიგნს, უსმენენ მუსიკას და/ან ტელევიზორს უყურებენ. დაახლოებით ყოველი მესამე ახალგაზრდა ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების საშუალებებით უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით კმაყოფილებას, გამოკითხული ახალგაზრდების 38% გამოთქვამს კმაყოფილებას. საინტერესოა, რომ კმაყოფილებას უფრო ხშირად 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები გამოთქვამენ, ვიდრე - 25-დან 29 წლამდე ახალგაზრდები. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდობის კლუბებისა და კინოთეატრის ფუნქციონირება სურთ. ასევე მეოთხედზე მეტმა დასახელდა ატრაქციონების პარკის, ბიბლიოთეკისა და სკვერების/ბაღების არსებობის სურვილი, ხოლო მეოთხედზე მცირედით ნაკლებმა ბანაკების არსებობის სურვილი. ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის გამოკითხულთათვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის რესპონდენტებისთვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულები. ასევე, საინტერესოა, რომ ბიბლიოთეკების ფუნქციონირება თითქმის ორჯერ უფრო მეტ მდებრობითი სქესის წარმომადგენელს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელს, ხოლო სტადიონის ფუნქციონირება - პირიქით, მდებრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, თითქმის ოთხჯერ მეტ მამრობითი სქესის წარმომადგენელს სურს.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში. მოხალისეობის მოტივად ახალგაზრდების უმრავლესობამ სხვების დახმარების სურვილი დაასახელა. ასევე, მესამედზე მეტმა სიახლეების სწავლა, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ახალი ადამიანების გაცნობა დაასახელა.

ის რესპონდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (78%), ყველაზე ხშირად ამის მიზეზად მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არ ქონასა და დროის არქონას ასახელებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ახლგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, გამოკითხული ახალგაზრდების იგივე წილი (28%) კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. ზოგადად, რესპონდენტების უმრავლესობას სურვილი აქვს ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი დაასახელეს. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად, ყველაზე ხშირად, არასაკმარის დროს, სურვილი ნაკლებობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობას ასახელებენ.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, არ მოიხმარს ალკოჰოლს, არ მოიხმარს მარიხუანას და არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 37% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 11% აცხადებს იმავეს.

ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, ზოგადად, ახალგაზრდების სამუშაო ადგილებზე მიღებაც გამოწვევაა. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ ღირსეული კადრის დანიშვნა ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტში ვერ ხდება, რადგან, შესაძლოა, საზოგადოებამ აღნიშნული ფაქტი აღიქვას, როგორც დაუმსახურებელი და ნეპოტიზმით განპირობებული ქმედება. რაც შეეხება 26-დან 30 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს, მათი აზრით, პრობლემურია პროფესიის შესაბამისი სამუშაო ადგილებისა და ზოგადად, დასაქმების სფეროების არამრავალფეროვანი, შეზღუდული რაოდენობა. აქვე ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი ფუნქციონირებს, რომელიც თავად უზრუნველყოფს სტუდენტების შემდგომ დასაქმებას.

„განათლების, ნიჭის მიუხედავად, მათ მართლა ისეთ ადგილებში უწევთ დასაქმება, სუპერმარკეტებში... ფულის გამო უწევთ ძალიან დიდ დათმობებზე წასვლა.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„დასაქმების მხრივ, სიმართლე გითხრათ, ქობულეთში არ არის ისეთი დასაქმების სფეროები, როგორც ბათუმშია...იქ უფრო მეტი შესაძლებლობებია.“ (ქალი, 26 წლის, დაბა ჩაქვი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს უნდა შესთავაზოს ახალგაზრდული ცენტრი/სივრცე, სადაც ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება, ერთად დაგეგმონ აქტივობები/პროექტები და იზრუნონ მათ განხორციელებაზე. მონაწილეთა აზრით, უშუალოდ ახალგაზრდების ჩართულობით უნდა მოხდეს აღნიშნული სივრცის მოწყობა, რადგან ახალგაზრდებმა უკეთ იციან, თუ რა სურთ. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს არაფორმალური ტიპის აქტივობები უნდა შესთავაზოს, ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს საინტერესოდ, სახალისოდ და არაფორმალურ სივრცეში, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობას გაზრდის.

რაც შეეხება ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მოსაზრებებს, მათი აზრით, პრობლემები განსხვავდება ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, სოფლებში და განსაკუთრებით მაღალმთიანი აჭარის სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობა, ინტერნეტსა და ინფორმაციაზე წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარებთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე, შეინიშნება ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა. რესპონდენტების აზრით, პრობლემურია მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებიც, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახლომდებარე ქალაქებში, ძირითადად კი ბათუმში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდებს განათლების ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას სკოლის

განათლების ხელმისაწვდომობაზეც კი პრობლემა აქვთ, რაც სკოლის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასა და პედაგოგთა მცირე რაოდენობას უკავშირდება. გარდა ამისა, მისი თქმით, ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდას ფინანსური შესაძლებლობაც მეტი აქვს, ვიდრე სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას იმისთვის, რომ საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე იზრუნოს. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკა მაღალმთიან სოფლებში სუსტია, რადგან დაგეგმვის ეტაპზე ახალგაზრდები არ არიან ჩართული. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისთვისაც გამოწვევაა, მიზეზად კი რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაგვიანებული გავრცელება და/ან ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე არასაკმარისად დახარჯული რესურსი მიაჩნია, რადგან ზოგჯერ ორგანიზაციების მიდგომით, თავად ახალგაზრდა უნდა ეძებდეს მისთვის საინტერესო ინფორმაციას და შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებაში დიდ რესურსს არ დებენ. გარდა ამისა, რესპონდენტს გამოწვევად მიაჩნია, სპორტული მოედნებისა და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ვიწრო ჯგუფზეა მორგებული.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სოფლებში ახალგაზრდებს თითქმის არ აქვთ თავშეყრის ადგილები, რის გამოც მათ ქალაქში ჩასვლა უწევთ ხოლმე, რაც მეორე პრობლემასთან - ტრანსპორტირებასთან არის დაკავშირებული, რადგანაც სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს. რესპონდენტის თქმით, ზოგადად, პრობლემურია სკოლის შემდგომ განათლებაზე ხელმისაწვდომობაც, ვინაიდან ქობულეთში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს, რის გამოც მუნიციპალიტეტს მიგრაციის პრობლემა წარმოეშობა - ახალგაზრდები სკოლის დასრულების შემდეგ, ხშირად ბათუმსა და თბილისში გადადიან საცხოვრებლად. ასევე, ახალგაზრდების საერთო პრობლემად მიაჩნია დასაქმების საკითხი, მისი თქმით, ახალგაზრდები ძირითადად სეზონურად საქმდებიან, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო სეზონური დასაქმებაც გამოწვევად იქცა. რაც შეეხება გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში ტარდება ხოლმე გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით.

„მაღალმთიან აჭარაში არის ღონისძიებების ნაკლებობა პირველ რიგში, მერე მეორე ბავშვებმა არ იციან როგორ მოიპოვონ ინფორმაცია, იმიტომ, რომ მართალია ასე თუ ისე ინტერნეტთან წვდომა დღეს უკვე აქვთ მაღალმთიან აჭარაში, მაგრამ არა ყველა სოფელში. ასევე სოფლებში ძალიან ცოტა ახალგაზრდა ცხოვრობს, იმიტომ, რო ძირითადი ნაწილის მიგრაცია ხდება ქალაქებში, ან ბათუმში, თბილისში... მაღალმთიან აჭარაში ... ახალგაზრდული პოლიტიკა, მაინც მან სუსტია იქ და ახალგაზრდული პროგრამები იგეგმება კაბინეტებში და არა ახალგაზრდების მიერ.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„სოფლებში ეს უფრო მეტად ეს აისახება, პრობლემა ადამიანის შეკრების. იმიტომ რომ ცენტრები არ არის რომ შეიკრიბოს და უფრო მეტად უწევთ ქალაქში, ქობულეთში ჩამოსვლა. ცოტა ტრანსპორტის პრობლემაც შეიძლება იყოს... ტრანსპორტი იმიტომ,

რომ სოფლებში კი იცით, გრაფიკით არის...“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ სმენია ისეთი პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს პასუხობს. მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის პროექტებში. არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე ეფექტური პროექტები ინტელექტუალური თამაშები, ესეების კონკურსი და სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული ტრენინგებია. ერთ-ერთი მონაწილე მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ბანაკების პროექტს გამოყოფს და თვლის, რომ აღნიშნული ფორმატი სასარგებლოა სხვადასხვა საკითხის შესახებ ცოდნის მისაღებად და ახალგაზრდის სოციალური წრის გასაფართოებლად. ზოგადად კი, არასრულწლოვანი მონაწილეები თვლიან, რომ ახალგაზრდებამდე ინფორმაცია თანაბრად მიდის, თუმცა ახალგაზრდებში ინტერესი ნაკლებია. ხოლო, სრულწლოვან მონაწილეთა საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ძირითად ნაწილს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების/პროექტების შესახებ არ აქვთ.

„მუნიციპალიტეტის მხრიდან, სიმართლე გითხრათ, არ მსმენია, რომ მსგავსი პროექტი ჰქონდათ.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„ყველაზე დიდად, სიმართლე გითხრათ, ანუ გამგეობის განხორციელებული პროექტებიდან და სახელმწიფოს მხრიდან მომეწონა ბანაკები, რომ ტარდება ანაკლიაში... „მომავლის ბანაკი“ ერქვა, მგონი, თუ არ ვცდები.“ (კაცი, 17 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს მეტი აქტივობები, პროექტები უნდა შესთავაზოს. ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ვინაიდან, ქობულეთი საკურორტო ქალაქად ითვლება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტს მეტი ყურადღება მართებს ქალაქის სისუფთავის მიმართ და აუცილებელია, მეტი სანარჩენე კონტეინერების განთავსება, ხოლო საზოგადოებისთვის საკუთარი წილი პასუხისმგებლობის ადების მიზნით, საინფორმაციო კამპანიების წარმოება, ბუკლეტების დარიგება და საინფორმაციო დაფების განთავსება.

რაც შეეხება სრულწლოვანი ახალგაზრდების ჯგუფებს, მათი ძირითადი ნაწილი ვერ აკონკრეტებს, რა მიმართულებით ისურვებდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გააქტიურებას. მცირე ნაწილის აზრით, სასურველია, ახალგაზრდული ბანაკების, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტის მერიას უნდა ჰქონდეს ახალგაზრდობასთან უფრო ხშირი კონტაქტი და კომუნიკაცია.

„მიმაჩნია, რომ საჭიროა, მუნიციპალიტეტმა დაანახოს, ახალგაზრდებს მოხდეს უშუალოდ გასაუბრება მათ შორის, უფრო ხშირი კონტაქტი დამყარდეს მერიასა და ახალგაზრდებს შორის, რათა ბავშვებმა მიხედნენ, იგრძნონ ნამდვილად დიდი ყურადღება მუნიციპალიტეტისგან და მერიისგან და მათი სურვილიც და მოტივაციაც უფრო გაიზარდება.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების ძირითად ნაწილს ინფორმაცია ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ არ აქვს. ერთ მონაწილეს სმენია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, რომლის მიერ განხორციელებულ პროექტში აქტიურად იყო ჩართული და რომელიც უცხოელი ვიზიტორების მოზიდვის მიზნით, საკუთარი ქალაქის განვითარების წარდგენის იდეების გენერირებას ითვალისწინებდა. რაც შეეხება სრულწლოვან მონაწილეთა ჯგუფებს, მხოლოდ ორ მონაწილეს სმენია „CENN -კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის“ შესახებ და მის მიერ ორგანიზებულ გარემოსდაცვით პროექტებსა და ბანაკებზე. ასევე, მხოლოდ ერთ მონაწილეს აქვს ისეთ პროექტში მონაწილეობის გამოცდილება, რომლის მიზანიც მათ თემში/სოფელში არსებული პრობლემების განსაზღვრასა და გადაჭრის გზების პოვნას წარმოადგენდა.

ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სასურველია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებს გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ბანაკებში მონაწილეობა შესთავაზონ. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასურველია, ახალგაზრდებს შესთავაზონ ტრენინგები, თუ როგორ აწარმოონ კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან და როგორ მოაწყონ სოციალური თემატიკის კამპანიები. ერთ-ერთი მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებს კომპიუტერულ თამაშებში ტურნირის ჩატარების იდეასაც სთავაზობს.

„შორეული ოცნებაა, თუმცა გაცვლითი პროგრამები კარგი იქნებოდა უცხო ქვეყნებში და საზაფხულო ბანაკები.“ (ქალი, 16 წლის, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები და აქტივობები ახალგაზრდების ადგილობრივ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც წესი, ახალი აქტივობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ონლაინ მეთოდებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს მიმართავენ, დაინტერესებული ახალგაზრდებისგან კი ქმნიან ჯგუფს, რომელიც კონკრეტულ პროექტში ჩაერთვება. მეორე რესპონდენტი კი, რომელიც ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამბობს, რომ მათი პროექტები ძირითადად კულტურული ღონისძიებებისგან შედგება. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე, ონლაინ მეთოდებს მიმართავენ. ორივე შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროექტები ინკლუზიურია და თითოეულ პროექტში 30-დან 60-მდე

ახალგაზრდა მონაწილეობს, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი ამ მხრივ არსებულ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ კონკრეტული ახალგაზრდების პროექტში ჩართვას, რადგან მათ რიგ შემთხვევებში, ხელს ტრანსპორტი უშლით, ხოლო ზოგჯერ მშობელს არ რთავს ნებას ახალგაზრდას, რომ ჩაერთოს აქტივობაში.

მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ამის დასადაგენად კი კვლევებს ატარებენ ხოლმე, ერთი ორგანიზაციის შემთხვევაში კვლევით მიღებული ინფორმაციის განახლება სამ წელიწადში ერთხელ ხდება, ხოლო მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში კი თითოეული პროექტის დაწყების წინ გონებრივ იერიშსა და ფოკუს ჯგუფების მეთოდს მიმართავენ, ამ პროცესში კი ბენეფიციარები ჰყავთ ჩართული. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების თქმით, მათ მიერ განხორციელებული პროექტები/პროგრამები ეფექტურია, ხოლო ეფექტურობაზე პროექტების შედეგები მეტყველებს, მაგალითად, დღეს ბევრად მეტი ახალგაზრდაა ჩართული ადგილობრივს დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვიდრე სამი წლის წინ, რაც მათი პროექტების ძირითად მიზანს წარმოადგენდა. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, დროდადრო ხდება პროექტის შეფასება და შედეგების ანალიზი.

„ბოლო 5 წელია განსაკუთრებულად ვმუშაობთ, სამიზნე ჯგუფია ახალგაზრდები. დავინახეთ, რა რო თვითმმართველობებში ახალგაზრდების მონაწილეობა არის ძალიან მინიმალური, ამიტო ერთ-ერთ სემინტად ავირჩიეთ, სამიზნე ჯგუფად ავირჩიეთ ახალგაზრდების როლის გაზრდა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში და მათი ასე ვთქვათ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„გვყავს ბენეფიციარების ნაწილი, რომელიც ვერც ერთ ღონისძიებაზე ვერაფრით ვერ მოვიყვანეთ. დავადგინეთ მიზეზები, ერთს ტრანსპორტირების პრობლემა აქვს იმიტომ, რომ ცოტა შორს ცხოვრობს და ავტობუსი მასთან არ მიდის, მეორეს მშობელი არ უშვებს და მარტო ვერ მოდის და მშობელს ყოველთვის არ სცალია და ასე შემდეგ. ამიტომ ეხლა, რადგანაც ყველაფერი ონლაინ ამბავში გადავიდა, გავაკეთეთ ახალგაზრდების ასე ვთქვათ, ჩატი ცალკე, სადაც ამ ინფორმაციებს ვაზიარებთ.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ატარებს შეხვედრებს ახალგაზრდებთან, ყველაზე ხშირად კი სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებთან. შეხვედრები ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვამდე ტარდება, რომ შემდგომში ახალგაზრდების სურვილები გათვალისწინებული იყოს დაგეგმილ ღონისძიებებში. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰქონიათ ინკლუზიური პროექტებიც, მაგალითად, ექსკურსია სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად. ასევე, რესპონდენტი ამბობს, რომ სოფლებში ახალგაზრდული საბჭოების მსგავსი სტრუქტურა იყო შექმნილი, სადაც ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ აქტივობებს, ხოლო მუნიციპალიტეტისგან ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო დროებით ეს აქტივობა შეწყდა. რესპონდენტის თქმით,

აქტივობების შეფასების მექანიზმები შემუშავებული არ აქვთ და შესაბამისად, არ ხდება მათი ეფექტურობის შეფასება. გარდა აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობისა, რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების დასაქმების ხელშემწყობ აქტივობებსაც ახორციელებენ, კონკრეტულად კი კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს აწყობენ და ცდილობენ, ინფორმაციის მოპოვებას ვაკანტური ადგილების შესახებ, მოგვიანებით, კი ინფორმაციას ფეისბუქ გვერდის საშუალებით აქვეყნებენ.

„ყველა საჭიროებები გათვალისწინებულია. შშმ პირებისაც, ეთნიკურ მხარესაც ვითვალისწინებთ... ასე თუ ისე ადაპტირებული არის ჩვენი მუნიციპალიტეტი და ვცდილობთ, რომ სადაც შეიძლება ეს ახალგაზრდები ჩავრთოთ, თუ გინდა დასაქმების მხრივ, თუ გინდა ღონისძიებების მხრივ. ყოველთვის ვცდილობთ, ეს ადამიანები ჩავრთოთ და არ გვყავდეს გარიყულები.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების ჩართულობა

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მცირე ნაწილი კი ამბობს, რომ ჩართულია და შეუძლიათ, მხოლოდ ერთეული მაგალითების მოყვანა, როდესაც ახალგაზრდები თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტთან, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების მოტივაციის არქონითა და ინტერესის ნაკლებობით არის განპირობებული. იმავე აზრს ავითარებს სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და იმედს გამოთქვამს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდებიან.

„ჩემს სკოლაში სწავლობს 200 ბავშვი, აქედან ვიყავით 2 ბავშვი ჩართულნი, იქიდან გამომდინარე, რომ დანარჩენი ბავშვები საერთოდ არანაირ მონაწილეობას არ ღებულობენ და არ იყვნენ დაინტერესებულნი ვფიქრობ, რომ არ არის საკმარისი... ალბათ, არ აინტერესებთ არ თვლიან პრიორიტეტად.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალაშხარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ ზოგადად, ახალგაზრდები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე უნდა იყვნენ აქტიურნი. მცირე ნაწილი თვლის, რომ ახალგაზრდების აქტიურობა მიმართული უნდა იყოს ისეთ პროექტებში, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მომავალი პროფესიის სწორად შერჩევას. ერთ-ერთი მონაწილე მნიშვნელოვნად თვლის, გარემოსდაცვითი მიმართულებით ახალგაზრდების გააქტიურებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს პრობლემა მწვავე და აქტუალურია მუნიციპალიტეტში. ასევე, ერთ-ერთი მონაწილის აზრით, უნდა ხდებოდეს პრობლემების შეფასება მათ თემში და შემდგომ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მაგალითად, რესპონდენტის თქმით, როცა სოფელში ადრეული ქორწინების მწვავე პრობლემა იყო, ახალგაზრდებმა დაგეგმეს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია და შეეცადნენ საზოგადოებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, ხოლო უშუალოდ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას ახალგაზრდები თავადაც შეძლებენ. ერთ-ერთ მონაწილეს მაგალითის სახით მოყავს ახალგაზრდების ინიციატივა, რომელიც უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფრების მოწყობას გულისხმობდა და რომელიც დაფინანსდა მუნიციპალიტეტის მიერ, რესპონდენტი თვლის, რომ ახალგაზრდებისთვის მსგავსი მხარდაჭერის ფორმა მნიშვნელოვანია.

„ფინანსური მხარდაჭერაა, ჩემი აზრით, მთავარი ანუ ახალგაზრდებს ბევრი წამოწყება ჰქონიათ, მაგრამ ფინანსები, რომ არ გვაქვს და რაიმე ამ ყველაფერს ვერ ვახერხებთ.... ძაღლებისთვის გვინდოდა თავშესაფრის დადგმა და მუნიციპალიტეტი ბევრჯერ, რომ შევაწუხეთ და რომ დავანახეთ ჩვენი მონდომება, მათაც მხარი დაგვიჭირეს.“ (ქალი, 18 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

„მე ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა დაანახოს ახალგაზრდებს, რომ ისინი მათ ყველა წამოწყებას, რა თქმა უნდა, გულიანად შეხედავენ.“ (ქალი, 19 წლის, სოფელი ალამბარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება და ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. თუმცა, ჯერჯერობით პანდემიის გამო მიმდინარე აქტივობები შეჩერებულია და რესპონდენტი იმედს გამოთქვამს, რომ მალე განახლდება შეწყვეტილი აქტივობები.

„უფრო მეტად კიდევ მუშაობა ახალგაზრდებთან საჭიროა, კიდევ უფრო მეტი შეხვედრები. ინფორმაციის უფრო მეტი წვდომა რომ ქონდეს ახალგაზრდებს ყველა პროექტებსა და ღონისძიებებზე... გვინდა, რომ ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, ქალაქში მცხოვრებისთვის, სოფელში მცხოვრებისთვის და ამისთვის გამოვიყენოთ ინტერნეტი, რწმუნებულები და ყველა.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამომავლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ასევე, რეგიონალური ცენტრების დამოუკიდებელ იურდიულ პირად გარდაქმნისთვის მუნიციპალიტეტებთან მუშაობას გეგმავენ, რომ რეგიონალურ ცენტრებს მიეცეს საშუალება, დამოუკიდებლად ჩაატაროს ღონისძიებები. მეორე რესპონდენტის თქმით კი, არასამთავრობო ორგანიზაციის სამომავლო გეგმებში ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება შედის.

„გადავწყვიტეთ ესეთი რაღაცა, ანუ ჩვენი ბენეფიციარების ჯგუფი უნდა დავყოთ, ასე ვთქვათ, რაღაც გარკვეული ნიშნებით. კონკრეტული ჯგუფები უნდა იყოს და მათთან საკომუნიკაციოდ უნდა მივამაგრო თავიანთი ჯგუფის წარმომადგენელი, ასე ვთქვათ, ვინც იქნება მისთვის ყველაზე მეტად სანდო და ერთგვარად „ინფლუენსერიც“. ეს მაქვს ამ ეტაპზე გეგმაში, რომ ჩვენი შედეგები უფრო მეტად გაიზარდოს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი)

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების უმრავლესობას დადებითი მოლოდინი აქვს მუნიციპალიტეტის საქმიანობისადმი. მათი აზრით, ახალგაზრდების აქტიურობა პირდაპირ დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის აქტიურ მხარდაჭერასთან და შესაბამისად, მოუწოდებენ ახალგაზრდებს გააქტიურებისა და მოტივაციის ამაღლებისაკენ. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტები და აქტივობები ახალგაზრდებთან უნდა იყოს შეთანხმებული და მათ საჭიროებებზე მორგებული. ასევე, იმედოვნებს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან, კიდევ უფრო მეტი ჩართულობა და ინიციატივების მხარდაჭერა მოხდება.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას კვლევაში მონაწილეები სხვადასხვა სახის პრობლემაზე საუბრობენ. თავად ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და პროექტების ნაკლებობაა. მათი აზრით, სხვა ქალაქებთან შედარებით, ქობულეთში ახალგაზრდებს ნაკლები პერსპექტივა აქვთ. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თანხმდება, რომ ზოგადად, ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხია დასაქმება. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, პრობლემური საკითხია, ზოგადად, ახალგაზრდების სამუშაო ადგილებზე მიღება და დასაქმების სფეროების შეზღუდული რაოდენობა. ასევე, მათი აზრით, პრობლემაა ახალგაზრდების მხრიდან სხვადასხვა აქტივობისადმი ინტერესის ნაკლებობა, მოტივაციის არქონა და არაინფორმირებულობა. გარდა ამისა, ახალგაზრდების ნაწილის აზრით, მუნიციპალიტეტში არ არის ახალგაზრდული სივრცეები. მათი აზრით, ახალგაზრდებს სჭირდება ისეთი სივრცე, სადაც შეძლებენ თავშეყრას, იდეების გაცვლას, თვითრეალიზაციას და თავისუფალი დროის გატარებას.

ახალგაზრდებს ზემოთხსენებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახელებაც სთხოვეს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს ახალგაზრდული ცენტრი/სივრცე უნდა შესთავაზოს, სადაც მათ ექნებათ საშუალება, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ აქტივობები/პროექტები. მონაწილეთა აზრით, აღნიშნული სივრცის მოწყობა უშუალოდ ახალგაზრდების ჩართულობით უნდა მოხდეს, რადგან ახალგაზრდებმა უკეთ იციან, თუ რა სურთ. ასევე, ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა შესთავაზოს ახალგაზრდებს არაფორმალური ტიპის აქტივობები, ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს საინტერესოდ, სახალისოდ და

არაფორმალურ სივრცეში, რაც ახალგაზრდების დაინტერესებასა და ჩართულობას გაზრდის.

რაც შეეხება ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მოსაზრებებს ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ, მათი აზრით, პრობლემები განსხვავდება ახალგაზრდების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების აზრით, სოფლებში შეინიშნება ახალგაზრდული ღონისძიებების ნაკლებობა, ინტერნეტსა და ინფორმაციაზე წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარებთან დაკავშირებული პრობლემა. ასევე პრობლემურია ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა. რესპონდენტების აზრით, მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებიც გამოწვევაა, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ახლომდებარე ქალაქებში, ძირითადად კი ბათუმში გადადიან საცხოვრებლად. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდებს განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვთ, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდას, რადგან სოფლად სკოლის ინფრასტრუქტურა - გაუმართავი, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა მცირეა. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ზოგადად, ახალგაზრდული პოლიტიკა მაღალმთიან სოფლებში სუსტია, მიზეზად კი პროცესებში ახალგაზრდების ჩაურთველობას ასახელებს. რესპონდენტი აქვე აღნიშნავს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდისთვისაც პრობლემურია, მიზეზად კი რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაგვიანებული გავრცელება და/ან ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე არასაკმარისად დახარჯული რესურსი მიაჩნია. გარდა ამისა, რესპონდენტს გამოწვევად მიაჩნია, სპორტული მოედნებისა და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ვიწრო ჯგუფზეა მორგებული.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სოფლებში ახალგაზრდებს თითქმის არ აქვთ თავშეყრის ადგილები, რის გამოც მათ ქალაქში ჩასვლა უწევთ ხოლმე, რაც თავის მხრივ, ტრანსპორტირების პრობლემას უკავშირდება, რადგანაც სოფლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტი გრაფიკით მოძრაობს. რესპონდენტის თქმით, გამოწვევაა სკოლის შემდგომ განათლებაზე ხელმისაწვდომობაც, ვინაიდან ქობულეთში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს, რის გამოც მუნიციპალიტეტიდან ახალგაზრდების თბილისსა და ბათუმში გადინება ხდება. ასევე, ახალგაზრდების პრობლემად მიაჩნია დასაქმების საკითხი, მისი თქმით, ახალგაზრდები ძირითადად სეზონურად საქმდებიან, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო სეზონური დასაქმებაც გამოწვევად იქცა. რაც შეეხება გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებს, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში ტარდება ხოლმე გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით.

საინტერესოა, რომ ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ სმენია მუნიციპალიტეტში განხორციელებული/დაგეგმილი პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელიც ახალგაზრდების საჭიროებებს პასუხობს. მხოლოდ არასრულწლოვანთა ჯგუფის ნაწილი ამბობს, რომ მიუღია მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვადასხვა პროექტში.

არასრულწლოვანთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ყველაზე ეფექტური ინტელექტუალური თამაშები, ესეების კონკურსი და ტრენინგები სხვადასხვა თემატიკაზე განხორციელებული პროექტებია. არასრულწლოვანი მონაწილეები თვლიან, რომ ახალგაზრდებამდე ინფორმაცია თანაბრად მიდის, თუმცა ახალგაზრდებში ინტერესი ნაკლებია. ხოლო, სრულწლოვან მონაწილეთა საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ძირითად ნაწილს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების/პროექტების შესახებ არ აქვთ. ფოკუს ჯგუფებში მონაწილე არასრულწლოვანი ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებს მეტი აქტივობა, პროექტები უნდა შესთავაზოს. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ შემოთავაზებულ ტრენინგებს არაფორმალური, სახალისო შეხვედრების ფორმატი უნდა ჰქონდეს, რომ ახალგაზრდების მხრიდან ინტერესი გაიზარდოს. რაც შეეხება სრულწლოვანი ახალგაზრდების ჯგუფებს, მათი ძირითადი ნაწილი ვერ აკონკრეტებს, რა მიმართულებით ისურვებდა მუნიციპალიტეტის საქმიანობის გააქტიურებას. მცირე ნაწილის აზრით, სასურველია, ახალგაზრდული ბანაკების, ლაშქრობებისა და ექსკურსიების მოწყობა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ასევე ნაკლებად ინფორმირებულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობენ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, სასურველია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ახალგაზრდებს გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო ბანაკებში მონაწილეობა შესთავაზონ. ასევე, ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სასურველია, ახალგაზრდებს შესთავაზონ ტრენინგები, თუ როგორ აწარმოონ კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან და როგორ მოაწიონ სოციალური თემატიკის კამპანიები. ერთ-ერთი მონაწილე კომპიუტერულ თამაშებში ტურნირის ჩატარების იდეასაც სთავაზობს არასამთავრობო ორგანიზაციებს.

თავის მხრივ, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პროგრამებსა და აქტივობებზე ისაუბრეს, რასაც ახალგაზრდებს სთავაზობენ.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები და აქტივობები ახალგაზრდების ადგილობრივ მიმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. როგორც წესი, ახალი აქტივობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ონლაინ მეთოდებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს მიმართავენ. მეორე რესპონდენტი კი, რომელიც ასევე არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს, ამბობს, რომ მათი პროექტები ძირითადად კულტურული ღონისძიებებისგან შედგება. აქტივობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე, ონლაინ მეთოდებს მიმართავენ. ორივე შემთხვევაში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროექტები ინკლუზიურია, თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტი ამ მხრივ არსებულ პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ კონკრეტული ახალგაზრდების პროექტში ჩართვას, რადგან მათ რიგ შემთხვევებში, ხელს ტრანსპორტი უშლით, ხოლო ზოგჯერ მშობელს არ რთავს ნებას ახალგაზრდას, რომ ჩაერთოს აქტივობაში. მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ პროექტებს დაგეგმვისას ახალგაზრდების საჭიროებებს ითვალისწინებენ, ამის დასადაგენად კი კვლევებს ატარებენ ხოლმე.

რაც შეეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს, მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ხშირად ატარებს შეხვედრებს ახალგაზრდებთან და ყველაზე ხშირად კი სკოლისა და კოლეჯის მოსწავლეებთან. შეხვედრები ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვამდე ხორციელდება, რომ შემდგომში დაგეგმილ ღონისძიებებში ახალგაზრდების სურვილები გათვალისწინებული იყოს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჰქონიათ ინკლუზიური პროექტებიც, მაგალითად, ექსკურსია სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან ერთად. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, სოფლებში ახალგაზრდული საბჭოების მსგავსი სტრუქტურა იყო შექმნილი, სადაც ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ აქტივობებს, ხოლო მუნიციპალიტეტისგან ტექნიკურ და საინფორმაციო მხარდაჭერას იღებდნენ, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო დროებით ეს აქტივობა შეწყდა.

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, თუ რამდენად არიან ახალგაზრდები ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული არ არის. მცირე ნაწილი კი ამბობს, რომ ჩართულია და შეუძლიათ, ერთეული მაგალითების მოყვანა, როდესაც ახალგაზრდები თანამშრომლობენ მუნიციპალიტეტთან, რაც მათი აზრით, ახალგაზრდების მოტივაციის არქონითა და ინტერესის ნაკლებობით არის განპირობებული. იმავე აზრს ავითარებს სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და იმედს გამოთქვამს, რომ ამ მიმართულებით გააქტიურდებიან.

რაც შეეხება თავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის აზრით, საჭიროა, ახალგაზრდებთან მუშაობის გაძლიერება და ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ სამომავლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერის გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ასევე, რეგიონალური ცენტრების დამოუკიდებელ იურდიულ პირად გარდაქმნისთვის მუნიციპალიტეტებთან მუშაობას გეგმავენ, მათი აზრით, ეს ხელს შეუწყობს რეგიონალურ ცენტრებს, დამოუკიდებლად ჩაატაროს რაიმე ღონისძიება. მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის სამომავლო გეგმებში კი ახალგაზრდებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას შეეძის.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს დადებითი მოლოდინები აქვს მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ახალგაზრდების აქტიურობა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის აქტიურ მხარდაჭერასთან და შესაბამისად მოუწოდებენ ახალგაზრდებს გააქტიურებისა და მოტივაციის ამაღლებისაკენ. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი პროექტები და აქტივობები ახალგაზრდებთან უნდა იყოს შეთანხმებული და მათ საჭიროებებზე მორგებული.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 369 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 29 წლამდე მერყეობს. მათგან 152 ახალგაზრდა (41%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 142 ახალგაზრდა (38%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 75 ახალგაზრდაა (20%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). გამოკითხული ახალგაზრდების 62% მდედრობითი სქესის, ხოლო 36% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 3%-მა კი არ ისურვა სქესის მითითება (იხ. დანართი, ცხრილი 2). მათი უმრავლესობა (62%) ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცხოვრობს, დაახლოებით მესამედი (30%) ქალაქ ქობულეთში, ხოლო 9% - დაბის ტიპის დასახლებაში (იხ. დანართი, ცხრილი 3).

ქობულეთში გამოკითხული ახალგაზრდების 39% სკოლის მოსწავლეა, დაახლოებით მეოთხედი (26%) კი სტუდენტია (უნივერსიტეტის სტუდენტი - 18%, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი - 8%). რესპონდენტების 17% აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უკვე დაასრულა, ხოლო მეათედს (11%) საშუალო განათლება აქვს მიღებული (იხ. დანართი, ცხრილი 20).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (70%) და არ ჰყავს შვილი (78%). რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (99%) თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 84, 86 და 88).

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (34%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხულთა 43%, ხოლო 23% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური. 14-17 წლის ახალგაზრდების თითქმის მეოთხედი - 24% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, 18-24 წლის ახალგაზრდების 19% მიიჩნევს იმავეს, ასევე 25-29 წლის ახალგაზრდების 27% იზიარებს იმავე მოსაზრებას (იხ. დანართი, ცხრილი 53). ამასთანავე, მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 22% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლების 24% ფიქრობს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 53a).


მათგან, ვინც აცხადებს რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, დაახლოებით მესამედი (32%) ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალური ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, მეხუთედი (21%) აცხადებს, რომ მოუსმენია მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 18% აცხადებს, რომ გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით. სხვა პასუხები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

რაში გამოიხატება თქვენი სამოქალაქო აქტიურობა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-24 წელი ■ 25-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახლგაზრდების 47% ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის იგივე წილი (46%) ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო 8%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 49). კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (77%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (55%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 51).


ზოგადად, რესპონდენტთა 33% ფიქრობს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 26%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო 42% ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 52).

კვლევისთვის საინტერესო იყო ახალგაზრდების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საჯარო ინსტიტუტის მიმართ, რისთვისაც ახალგაზრდებს სთხოვეს, მოენიშნათ არაუმეტეს 5 ინსტიტუტისა, რომელსაც ენდობიან. ყველაზე ხშირად

გამოკითხული ახალგაზრდები ნდობას საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას (34%), საქართველოს ჯარსა (30%) და საქართველოს მთავრობას (29%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 2

რომელ პოლიტიკურ, საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს ენდობით ყველაზე მეტად? (%) შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 5 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც ჩანს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებითა (67%) და ტელევიზიით (53%) იღებენ, ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (35%) და ადგილობრივი ხელისუფლება (18%). ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ინფორმაციას ბეჭდური მედიისა (2%) და რადიო ან პოდკასტის საშუალებით იღებენ (1%). ასევე, გამოკითხულთა 5% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას (იხ. დანართი, ცხრილი 55).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 8% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ

საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენჯერმე მიიღო მსგავს აქტივობაში მონაწილეობა 16%-მა, ერთხელ მიიღო მონაწილეობა 4%-მა, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 72%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 56). მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 40%-ს წარმოადგენს 18-25 წლის ახალგაზრდები, 37%-ს შეადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, ხოლო 23%-ს 26-29 წლის ახალგაზრდები შეადგენს.

რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 35% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 16%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, ასევე 16% ამბობს, რომ არ ჰქონდა დრო, ხოლო 19%-ს კი ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 57_1 და ცხრილი 57_8).

რაც შეეხება ჩართულობის ხარისხს, იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (28%), 9% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, ასევე, 12%-ის განცხადებით მიაწოდეს ინფორმაცია, ხოლო მხოლოდ 8% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 3%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 - ცხრილი 58_6).

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარს (50%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. 31%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 20%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. მათგან ვისაც მსგავს პროგრამაში/პროგრამებში მიუღია მონაწილეობა უმრავლესობა (79%) დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად - 11%, დადებითად - 68%) (იხ. დანართი, ცხრილი 14 და ცხრილი 15).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ქობულეთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა დაახლოებით მეოთხედს (21%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (79%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 17).

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

ქობულეთში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. მეზუთედი (20%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხს საშუალოდ აფასებს, უკმაყოფილებას (უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო) კი მხოლოდ 6% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 21).

რაც შეეხება ახალგაზრდების მიერ უცხო ენის ცოდნას, უმრავლესობა ამბობს, რომ ფლობს ერთ უცხო ენას მაინც (60%) - ყველაზე ხშირად კი ინგლისურ ენას (73%) (იხ. დანართი, ცხრილი 22, ცხრილი 23_1 - ცხრილი 23_6).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, ახალგაზრდების ჩართულობა უწყვეტ განათლებაში. გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (55%) ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, 28% ამბობს, რომ რამდენჯერმე ყოფილა, ხოლო 17% ამბობს, რომ ბევრჯერ მომხდარა მსგავსი შემთხვევა (იხ. დანართი, ცხრილი 24 და ცხრილი 25). მათგან ვინც ამბობს, რომ სურდა დასწრება ტრენინგზე, მაგრამ ხელი შეეშალა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობას (44%), ინფორმაციის არქონასა (23%) და საჭირო თანხის არქონას (22%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 26_1 - ცხრილი 26_6).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს (იხ. დანართი, ცხრილი 27), მაგრამ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი პროფესიულ განათლებასა (58%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (61%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_3 და ცხრილი 79_4)¹.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (80%) და ინტერნეტთან (95%) ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი (71%) თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია (იხ. დანართი, ცხრილი 28, 29 და 30). ზოგადად, მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით (69%), სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (62%), ასევე ხშირად გასართობად (51%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ (51%) (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 - ცხრილი 31_7).


დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე ახალგაზრდების მცირე წილი - 8% დასაქმებულია, 35% ეძებს სამუშაოს, ხოლო 57% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან გამოკითხულ ახალგაზრდებს, მესამედზე მეტი (37%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედი (23%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უმრავლესობა (58%) ეძებს სამსახურს, 18% კი არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) ამბობს, რომ დასაქმებულია, დაახლოებით მესამედი

¹ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

(32%) სამსახურს ეძებს, ხოლო 5% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 44% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 39% - კერძო ორგანიზაციაში (იხ. დანართი, ცხრილი 40_1 - ცხრილი 40_8). დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს (60%), ასევე უმრავლესობაა ხელშეკრულებით დასაქმებული (73%). სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა (60%) საშუალოდ კვირაში 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 40% კვირაში საშუალოდ 42-დან 100 საათამდე მუშაობს (იხ. დანართი, ცხრილი 44).

დასაქმებული სრულწლოვანი გამოკითხულების უმრავლესობა (74%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, დაახლოებით მეოთხედი (24%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 1% ამბობს, რომ სამსახურით უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 45).


რაც შეეხება გამოკითხულ სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (63%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას (28%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (26%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (17%) ასახელებენ. მეხუთედი (20%) კი ამბობს, რომ უმუშევრობის კონკრეტული მიზეზი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 18-25 წლის ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 26-29 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 4). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად

პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (53%) და სტაჟირების შესაძლებლობა (52%) დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_8).

დიაგრამა 4

რა არის თქვენი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია. ასევე, ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა (54%) და სამუშაო ადგილის უსაფრთხოება (58%) მათთვის პრობლემური საკითხებია (იხ. დანართი, ცხრილი 79_5, 79_6 და 79_7)². საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები.

გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი (49%) ამბობს, რომ მათთვის საკმარისი რაოდენობის ფინანსების არქონა პრობლემურია. დაახლოებით მესამედისთვის (30%) - ნაკლებად პრობლემური, ხოლო 21% აღნიშნულ საკითხს საშუალოდ

² პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

პრობლემურად აფასებს (იხ. დანართი, ცხრილი 79_2)³. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (52%) ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხსაც პრობლემურად მიიჩნევს. მესამედზე მცირედით ნაკლები (29%) ნაკლებად პრობლემურად, ხოლო 19%-ისთვის საშუალოდ პრობლემურია (იხ. დანართი, ცხრილი 79_3)⁴. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე რესპონდენტები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები


კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (65%), კითხულობენ წიგნს (49%), უსმენენ მუსიკას (43%) და/ან უყურებენ ტელევიზორს (25%). სხვა ტიპის აქტივობები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 5

ჩამოთვლილთაგან, ყველაზე ხშირად, რომელ აქტივობებს ახორციელებთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



³ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

⁴ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

შენიშვნა: რესპონდენტებს 7 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) რესპონდენტთა 29% გამოთქვამს, მესამედზე მეტი (39%) კი ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების მდგომარეობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 7). ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) თვლის, რომ დასვენება მათთვის პრობლემურია, თითქმის მეხუთედი (18%) მეტ-ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს, ხოლო მესამედზე ნაკლები (28%) ნაკლებად პრობლემურად. გარდა ამისა, გამოკითხულთა 45% თვლის, რომ გართობა პრობლემური საკითხია, დაახლოებით მეოთხედი (23%) საკითხს მეტ-ნაკლებად პრობლემურად აფასებს, ხოლო მესამედი (33%) - ნაკლებად პრობლემურად (იხ. დანართი, ცხრილი 79_15 და ცხრილი 79_16)⁵.


რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, კმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 38% გამოთქვამს, უკმაყოფილებას კი - 24%. საინტერესოა, რომ კმაყოფილებას უფრო მეტი 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდა გამოთქვამს, ვიდრე - 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდები. გამოკითხული ახალგაზრდების 38% ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს და ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა. (იხ. დანართი, ცხრილი 8).

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრისა (45%) და ახალგაზრდობის კლუბის (36%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ატრაქციონების პარკის (28%), ბიბლიოთეკისა (28%), სკვერების/ბაღებისა (28%) და ბანაკების (23%) არსებობის/ფუნქციონირების სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის რესპონდენტებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულთათვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 26-29 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 2). ასევე, საინტერესოა, რომ ბიბლიოთეკების ფუნქციონირება თითქმის ორჯერ უფრო მეტ მდებარეობითი სქესის წარმომადგენელს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელს, ხოლო სტადიონის ფუნქციონირება - პირიქით, მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, თითქმის ოთხჯერ მეტ მამრობითი სქესის წარმომადგენელს სურს (იხ. დანართი, ცხრილი 9_4a, 9_8a).

⁵ პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

დიაგრამა 6

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)
შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 43%-ის თქმით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. მეოთხედი (25%) კი საპირისპიროს ამბობს, ხოლო დაახლოებით მესამედს (33%) ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 10). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (74%) და ყველაზე ხშირად პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და დასაგეგმად გამოუყენებია (48%). რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ინფორმაცია ფიზიკური სივრცის არსებობის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლია სივრცით (26%), ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად აღნიშნული სივრცის შესახებ ინფორმაციის არქონასა (9%) და საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარეობას ასახელებენ (8%) (იხ. დანართი, ცხრილი 11, 12 და 13).


მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (31%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში⁶. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 2% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ხოლო უმრავლესობის - 69%-ის განცხადებით არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 59).

დიაგრამა 7

გასული 12 თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (31%), 46% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი (23%) აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 6% ჩართული იყო სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარებასა და მონაწილეობაში. ასევე 6% აცხადებს, რომ ჩართული იყო საქველმოქმედო აქციებში (იხ. დანართი, ცხრილი 60).

რაც შეეხება მოხალისეობის სიხშირეს, გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მცირედით ნაკლები (31%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული იყო წელიწადში ერთხელ ან რამდენჯერმე,

⁶ მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

გამოკითხულთა იმავე წილის - 31%-ის განცხადებით, ამ საქმიანობით დაკავებული იყო თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, 19% - კვირაში ერთხელ (იხ. დანართი, ცხრილი 61).

მოხალისეობის მოტივად რესპონდენტთა უმრავლესობამ (59%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 35%-მა - სიახლეების სწავლა, ასევე 35%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 34%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 28%-მა - თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის (იხ. დანართი, ცხრილი 62_1 - ცხრილი 62_7).


ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (69%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის საკმარისი დრო, 18%-ს კი არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8

რა ფაქტორის/ფაქტორების გამო ვერ/არ მოხალისეობთ? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

■ 14-17 წელი ■ 18-25 წელი ■ 26-29 წელი



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.


სპორტული აქტივობები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (28%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 28%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. რესპონდენტთა 64%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს კალათბურთი (6%) (იხ. დანართი, ცხრილი 67). იმ გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (30%), საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (20%), სურვილის ნაკლებობას (22%), არასაკმარის ფინანსურ შესაძლებლობას (17%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად (ვარჯიში, სპორტი ან სხვა) (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა - 86% აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, 76%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 94% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 88% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 69, 70 და 71). მამრობითი სქესის წარმომადგენელთა 37% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა 11% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 70a).

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (56%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი ეწევა სიგარეტს, ხოლო უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 72_1 და ცხრილი 72_3).

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ მათი მეგობრების ნაწილი ან ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (78%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (77%) (იხ. დანართი, ცხრილი 72_2 და ცხრილი 72_4).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი (51%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 14-17 წლის ახალგაზრდების 51%, 18-25 წლის ახალგაზრდების 41% და 26-29 წლის ახალგაზრდების 57% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 74). შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ პრობლემურია, მათ შორის, 53% პროცენტის აზრით, ძალიან პრობლემურია. ახალგაზრდების მხოლოდ 25% ფიქრობს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა არ არის პრობლემური (იხ. დანართი, ცხრილი 79_8). მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა 81% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (იხ. დანართი, ცხრილი 75). ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 47% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 19% ამბობს, რომ არ ენდობა მათ (იხ. დანართი, ცხრილი 76_1 - ცხრილი 76_6).

გამოკითხული ახალგაზრდების 88% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის. ისინი, ვინც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასული 12 თვის განმავლობაში, ამის მიზეზად 66% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 52% კი ამბობს, არ იცოდა ვისთვის მიემართა, ხოლო 16% ამბობს, რომ არ სურდა ამის შესახებ ვინმეს გაეგო (იხ. დანართი, ცხრილი 77, ცხრილი 78_1 და ცხრილი 78_6).


მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 22%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 18%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 10). მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები განათლების მიღებისა (33%) და დასაქმების (31%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ასევე, 23% საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ხოლო 25% საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებს (იხ. დანართი, ცხრილი 81).

დიაგრამა 10

გსურთ თუ არა ქვეყნი მუნიციპალიტეტიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით




შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (70%) აცხადებს, რომ არ სურს ქვეყნიდან წასვლა (იხ. დიაგრამა 11). ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (33%), განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობას (31%), ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (23%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 83_1 - ცხრილი 83_9). ამასთანავე, რესპონდენტთა ნახევარზე მცირედით მეტი (52%) ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციას ნაკლებად პრობლემურ საკითხად არ მიიჩნევს, ხოლო ახალგაზრდების 35%-ს კი ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია (იხ. დანართი, ცხრილი 79_20).

დიაგრამა 11

გსურთ თუ არა თქვენი ქვეყნიდან წასვლა? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით ნაკლები ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული, თუმცა მათი უმრავლესობა თვლის, რომ ძალიან აქტიური, აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქეა. მათი აქტიურობა კი ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღებაში გამოიხატება. ასევე, მეოთხედი აცხადებს, რომ მოუსმენიათ მერის მიერ მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, მცირედი ნაკლებს კი გამოუხატავს საკუთარი აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების 41% ფიქრობს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო 26%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალისწინებული. რესპონდენტები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებითა და ტელევიზიით იღებენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობის არმიღების მთავარი მიზეზი არაინფორმირებულობაა -

ყოველი მესამე ახალგაზრდა ამბობს, რომ მსგავსი აქტივობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში და მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს. ხოლო გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედს თავად მიუმართეს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის/ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება ახალგაზრდების განათლების საკითხებს, ქობულეთში მცხოვრები გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. უმრავლესობა მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა ახალგაზრდების ნახევარზე მეტი პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს.

გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე მეტი - 39% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, ნახევარზე ნაკლები - 45% ამბობს, რომ მომხდარა მსგავსი შემთხვევა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობა, ინფორმაციის არქონა და საჭირო თანხის არქონა დაასახელეს.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა, ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან ყოველდღიურად აქვს. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესპონდენტები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად, გასართობად და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ.

კვლევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების დასაქმების საკითხებსაც სწავლობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და მათი უმრავლესობა ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, თითქმის ყოველი მეოთხე 18-25 წლის ახალგაზრდა ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო უმრავლესობა ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება რესპონდენტებს 26-დან 30 წლამდე, მათი უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმებულია.

დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების 44% სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, ხოლო 39% - კერძო ორგანიზაციაში. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა სრულ განაკვეთზეა დასაქმებული და კვირაში, საშუალოდ, 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო მესამედზე მეტი (40%) კვირაში, საშუალოდ, 44სთ-დან 100

საათამდე მუშაობს. დასაქმებული სრულწლოვანი რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.

რაც შეეხება სრულწლოვან რესპონდენტებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (63%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების სერვისების არარსებობას, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არქონასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ 18-25 წლის გამოკითხულები უმუშევრობის მიზეზად ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არ ქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 26-29 წლის რესპონდენტები.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია, ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა და სამუშაო ადგილის უსაფრთხოება მათთვის პრობლემური საკითხებია. საინტერესოა, რომ 14-17 წლის ახალგაზრდები ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების საკითხებს, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდები. კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება და სტაჟირების შესაძლებლობა დაასახელეს.

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს პრობლემურად მიიჩნევს. საინტერესოა, რომ 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხებს ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევენ.

კვლევა ასევე სწავლობდა იმას, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, კითხულობენ წიგნს, უსმენენ მუსიკას და/ან ტელევიზორს უყურებენ. დაახლოებით ყოველი მესამე ახალგაზრდა ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების საშუალებებით უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით კმაყოფილებას, გამოკითხული ახალგაზრდების 38% გამოთქვამს კმაყოფილებას. საინტერესოა, რომ კმაყოფილებას უფრო ხშირად 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები გამოთქვამენ, ვიდრე - 25-დან 29 წლამდე ახალგაზრდები. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად ახალგაზრდობის კლუბებისა და კინოთეატრის ფუნქციონირება სურთ. ასევე მეოთხედზე მეტმა დასახელდა ატრაქციონების პარკის, ბიბლიოთეკისა და სკვერების/ბაღების არსებობის სურვილი, ხოლო მეოთხედზე მცირედით ნაკლებმა ბანაკების არსებობის სურვილი. ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-17 წლის გამოკითხულთათვისაა სასურველი, ვიდრე 26-29 წლის რესპონდენტებისთვის, ასევე ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირების სურვილს უფრო ხშირად 18-25 წლის რესპონდენტები გამოთქვამენ, ვიდრე 26-29 წლის გამოკითხულები. ასევე, საინტერესოა, რომ ბიბლიოთეკების ფუნქციონირება თითქმის ორჯერ უფრო მეტ მდებრობითი სქესის წარმომადგენელს სურს, ვიდრე მამრობითი სქესის

წარმომადგენელს, ხოლო სტადიონის ფუნქციონირება - პირიქით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან შედარებით, თითქმის ოთხჯერ მეტ მამრობითი სქესის წარმომადგენელს სურს.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში. მოხალისეობის მოტივად ახალგაზრდების უმრავლესობამ სხვების დახმარების სურვილი დაასახელა. ასევე, მესამედზე მეტმა სიახლეების სწავლა, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, ახალი ადამიანების გაცნობა დაასახელა.

ის რესპონდენტები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (78%), ყველაზე ხშირად ამის მიზეზად მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არ ქონასა და დროის არქონას ასახელებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, გამოკითხული ახალგაზრდების იგივე წილი (28%) კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. ზოგადად, რესპონდენტების უმრავლესობას სურვილი აქვს ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი დაასახელეს. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად, ყველაზე ხშირად, არასაკმარის დროს, სურვილი ნაკლებობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობას ასახელებენ.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, არ მოიხმარს ალკოჰოლს, არ მოიხმარს მარიხუანას და არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტთა 24% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 37% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 11% აცხადებს იმავეს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა. შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ პრობლემურია. ასევე, უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ამის მთავარ მიზეზად მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არქონას ასახელებს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ყველაზე ხშირად მიზეზად ისევ, მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არ ქონასა და არაინფორმირებულობას ასახელებენ.

რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 22%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 18%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ახალგაზრდები მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად განათლების მიღებისა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ ქვეყნიდან წასვლა არ სურს. ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად განათლების მიღების უკეთეს შესაძლებლობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ.

დანართი

1. ასაკი (%)		
14-17 წელი	სიხშირე	152
	%	41.2%
18-25 წელი	სიხშირე	142
	%	38.5%
26-29 წელი	სიხშირე	75
	%	20.3%
სულ	სიხშირე	369
	%	100.0%

2. სქესი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ მსურს მითითება	სიხშირე	2	8	0	10
	%	1.3%	5.6%	0.0%	2.7%
მდედრობითი	სიხშირე	100	87	41	228
	%	65.8%	61.3%	54.7%	61.8%
მამრობითი	სიხშირე	50	47	34	131
	%	32.9%	33.1%	45.3%	35.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

3. დასახლების ტიპი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სოფელი	სიხშირე	109	89	28	226
	%	71.7%	62.7%	37.3%	61.2%
დაბა	სიხშირე	10	15	8	33
	%	6.6%	10.6%	10.7%	8.9%
ქალაქი	სიხშირე	33	38	39	110
	%	21.7%	26.8%	52.0%	29.8%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

4. მუნიციპალიტეტი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ქობულეთი	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_1. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვხვდები მეგობრებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	59	48	21	128
	%	38.8%	33.8%	28.0%	34.7%
დასახელდა	სიხშირე	93	94	54	241
	%	61.2%	66.2%	72.0%	65.3%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_2. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ სამაგიდო თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	146	132	71	349
	%	96.1%	93.0%	94.7%	94.6%
დასახელდა	სიხშირე	6	10	4	20
	%	3.9%	7.0%	5.3%	5.4%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_3. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ კომპიუტერულ თამაშებს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	122	122	69	313
	%	80.3%	85.9%	92.0%	84.8%
დასახელდა	სიხშირე	30	20	6	56
	%	19.7%	14.1%	8.0%	15.2%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_4. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ ქვეყნის შიგნით

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	139	121	58	318
	%	91.4%	85.2%	77.3%	86.2%
დასახელდა	სიხშირე	13	21	17	51
	%	8.6%	14.8%	22.7%	13.8%

სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_5. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ საზღვარგარეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	149	135	70	354
	%	98.0%	95.1%	93.3%	95.9%
დასახელდა	სიხშირე	3	7	5	15
	%	2.0%	4.9%	6.7%	4.1%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_6. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ ლაშქრობებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	148	129	70	347
	%	97.4%	90.8%	93.3%	94.0%
დასახელდა	სიხშირე	4	13	5	22
	%	2.6%	9.2%	6.7%	6.0%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_7. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კონცერტებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	137	121	69	327
	%	90.1%	85.2%	92.0%	88.6%
დასახელდა	სიხშირე	15	21	6	42
	%	9.9%	14.8%	8.0%	11.4%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_8. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?

(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ თეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	148	137	74	359
	%	97.4%	96.5%	98.7%	97.3%
დასახელდა	სიხშირე	4	5	1	10
	%	2.6%	3.5%	1.3%	2.7%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_9. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კინოთეატრში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	145	127	71	343
	%	95.4%	89.4%	94.7%	93.0%
დასახელდა	სიხშირე	7	15	4	26
	%	4.6%	10.6%	5.3%	7.0%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_10. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმონაწილეობ გარემოსდაცვით საქმიანობაში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	135	131	74	340
	%	88.8%	92.3%	98.7%	92.1%
დასახელდა	სიხშირე	17	11	1	29
	%	11.2%	7.7%	1.3%	7.9%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_11. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვაწყობ, ან მონაწილეობას ვიღებ სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მოწყობის პროცესში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	137	127	70	334
	%	90.1%	89.4%	93.3%	90.5%
დასახელდა	სიხშირე	15	15	5	35
	%	9.9%	10.6%	6.7%	9.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_12. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვკითხულობ წიგნს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	68	72	48	188
	%	44.7%	50.7%	64.0%	50.9%
დასახელდა	სიხშირე	84	70	27	181
	%	55.3%	49.3%	36.0%	49.1%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_13. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვუყურებ ტელევიზორს

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	117	107	54	278
	%	77.0%	75.4%	72.0%	75.3%
დასახელდა	სიხშირე	35	35	21	91
	%	23.0%	24.6%	28.0%	24.7%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_14. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვუსმენ მუსიკას

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	80	80	51	211
	%	52.6%	56.3%	68.0%	57.2%
დასახელდა	სიხშირე	72	62	24	158
	%	47.4%	43.7%	32.0%	42.8%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_15. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კლუბში

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	151	136	73	360
	%	99.3%	95.8%	97.3%	97.6%
დასახელდა	სიხშირე	1	6	2	9
	%	.7%	4.2%	2.7%	2.4%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_16. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ წრეებზე

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	134	137	72	343
	%	88.2%	96.5%	96.0%	93.0%
დასახელდა	სიხშირე	18	5	3	26
	%	11.8%	3.5%	4.0%	7.0%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_17. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - მაქვს ბლოგი/ვლოგი ან ვარ ინფლუენსერი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	149	137	75	361
	%	98.0%	96.5%	100.0%	97.8%
დასახელდა	სიხშირე	3	5	0	8
	%	2.0%	3.5%	0.0%	2.2%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_18. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად?
(მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - სხვა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	149	137	74	360
	%	98.0%	96.5%	98.7%	97.6%
დასახელდა	სიხშირე	3	5	1	9
	%	2.0%	3.5%	1.3%	2.4%

სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

5_18_თხ. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - სხვა, ჩაწერეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ვმუშაობ	სიხშირე	0	2	1	3
	%	0.0%	50.0%	100.0%	37.5%
ვსწავლობ და ვმუშაობ	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	25.0%	0.0%	12.5%
ვსწავლობ	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	25.0%	0.0%	12.5%
ვსწავლობ და ვუყურებ სერიალებს	სიხშირე	1	0	0	1
	%	33.3%	0.0%	0.0%	12.5%
ვთამაშობ კალათბურთს	სიხშირე	1	0	0	1
	%	33.3%	0.0%	0.0%	12.5%
ვსეირნობ	სიხშირე	1	0	0	1
	%	33.3%	0.0%	0.0%	12.5%
სულ	სიხშირე	3	4	1	8
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

6. რამდენად შეცვალა COVID-19-მა თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ძალიან შეცვალა	სიხშირე	32	38	19	89
	%	21.1%	26.8%	25.3%	24.1%
საკმაოდ შეცვალა	სიხშირე	48	39	19	106
	%	31.6%	27.5%	25.3%	28.7%
მეტ-ნაკლებად შეცვალა	სიხშირე	48	51	23	122
	%	31.6%	35.9%	30.7%	33.1%
მცირედ შეცვალა	სიხშირე	17	11	5	33
	%	11.2%	7.7%	6.7%	8.9%
არ შეუცვლია	სიხშირე	7	3	9	19
	%	4.6%	2.1%	12.0%	5.1%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

7. რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
საერთოდ არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	18	17	13	48
	%	11.8%	12.0%	17.3%	13.0%
არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	22	34	12	68
	%	14.5%	23.9%	16.0%	18.4%
არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო	სიხშირე	64	60	21	145
	%	42.1%	42.3%	28.0%	39.3%
კმაყოფილი ვარ	სიხშირე	42	26	25	93
	%	27.6%	18.3%	33.3%	25.2%
ძალიან კმაყოფილი ვარ	სიხშირე	6	5	4	15
	%	3.9%	3.5%	5.3%	4.1%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

8. რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
საერთოდ არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	7	13	12	32
	%	4.6%	9.2%	16.0%	8.7%
არ ვარ კმაყოფილი	სიხშირე	14	29	12	55
	%	9.2%	20.4%	16.0%	14.9%
არც კმაყოფილი ვარ და არც უკმაყოფილო	სიხშირე	58	61	22	141
	%	38.2%	43.0%	29.3%	38.2%
კმაყოფილი ვარ	სიხშირე	68	34	26	128
	%	44.7%	23.9%	34.7%	34.7%
ძალიან კმაყოფილი ვარ	სიხშირე	5	5	3	13
	%	3.3%	3.5%	4.0%	3.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_1. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - სკვერი/ბაღი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14

	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	107	90	54	251
	%	70.4%	63.4%	72.0%	68.0%
დასახელდა	სიხშირე	40	47	16	103
	%	26.3%	33.1%	21.3%	27.9%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_2. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - პარკი ატრაქციონებით

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	103	102	47	252
	%	67.8%	71.8%	62.7%	68.3%
დასახელდა	სიხშირე	44	35	23	102
	%	28.9%	24.6%	30.7%	27.6%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_3. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - ახალგაზრდული კლუბი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	94	80	49	223
	%	61.8%	56.3%	65.3%	60.4%
დასახელდა	სიხშირე	53	57	21	131
	%	34.9%	40.1%	28.0%	35.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_4. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - ბიბლიოთეკა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	103	95	54	252
	%	67.8%	66.9%	72.0%	68.3%
დასახელდა	სიხშირე	44	42	16	102
	%	28.9%	29.6%	21.3%	27.6%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_4a. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - ბიბლიოთეკა

		მდედრობითი	მამრობითი	არ მსურს მითითება	სულ
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	1	0	0	1
	%	0.4%	0%	0%	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	9	5	0	14
	%	4%	3.8%	0%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	140	106	6	252
	%	61.4%	80.9%	60.0%	68.3%
დასახელდა	სიხშირე	78	20	4	102
	%	34.2%	15.3%	40.0%	27.6%
სულ	სიხშირე	228	131	10	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_5. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - კინოთეატრი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	91	67	31	189
	%	59.9%	47.2%	41.3%	51.2%
დასახელდა	სიხშირე	56	70	39	165
	%	36.8%	49.3%	52.0%	44.7%
სულ	სიხშირე	152	142	75	369

	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
--	---	--------	--------	--------	--------

9_6. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - ბანაკი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	100	111	59	270
	%	65.8%	78.2%	78.7%	73.2%
დასახელდა	სიხშირე	47	26	11	84
	%	30.9%	18.3%	14.7%	22.8%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_7. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - ამფითეატრი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	141	123	66	330
	%	92.8%	86.6%	88.0%	89.4%
დასახელდა	სიხშირე	6	14	4	24
	%	3.9%	9.9%	5.3%	6.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_8. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - სტადიონი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%

არ დასახელდა	სიხშირე	128	131	61	320
	%	84.2%	92.3%	81.3%	86.7%
დასახელდა	სიხშირე	19	6	9	34
	%	12.5%	4.2%	12.0%	9.2%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_8a. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? სქესის მიხედვით (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - სტადიონი

		მდედრობითი	მამრობითი	არ მსურს მითითება	სულ
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	1	0	0	1
	%	0%	0.4%	0%	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	9	5	0	14
	%	4%	3.9%	0%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	207	103	10	320
	%	90.8%	78.6%	100.0%	86.7%
დასახელდა	სიხშირე	11	23	0	34
	%	4.8%	17.6%	0.0%	9.2%
სულ	სიხშირე	228	131	10	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_9. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - სხვა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არც ერთი არ მსურს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	1.3%	.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	5	5	4	14
	%	3.3%	3.5%	5.3%	3.8%
არ დასახელდა	სიხშირე	145	136	70	351
	%	95.4%	95.8%	93.3%	95.1%
დასახელდა	სიხშირე	2	1	0	3
	%	1.3%	.7%	0.0%	.8%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

9_9_oth. დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (მონიშნეთ 3 ყველაზე სასურველი პასუხი) - სხვა, ჩაწერეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
--	--	------------	------------	-------------------------------

თეატრი	სიხშირე	1	0	1
	%	50.0%	0.0%	33.3%
ბარი, რესტორანი	სიხშირე	1	0	1
	%	50.0%	0.0%	33.3%
ლიტერატურული კლუბი და პოეზიის საღამოები	სიხშირე	0	1	1
	%	0.0%	100.0%	33.3%
სულ	სიხშირე	2	1	3
	%	100.0%	100.0%	100.0%

10. არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ ვიცი	სიხშირე	37	49	34	120
	%	24.3%	34.5%	45.3%	32.5%
არა	სიხშირე	69	66	22	157
	%	45.4%	46.5%	29.3%	42.5%
დიახ	სიხშირე	46	27	19	92
	%	30.3%	19.0%	25.3%	24.9%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

11. რამდენად ხშირად გისარგებლიათ ამ სივრცით?

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
რეგულარულად ვსარგებლობ	სიხშირე	9	1	2	12
	%	19.6%	3.7%	10.5%	13.0%
რამდენჯერმე ვისარგებლე	სიხშირე	26	10	7	43
	%	56.5%	37.0%	36.8%	46.7%
მხოლოდ ერთხელ ვისარგებლე	სიხშირე	6	4	3	13
	%	13.0%	14.8%	15.8%	14.1%
არ მისარგებლია	სიხშირე	5	12	7	24
	%	10.9%	44.4%	36.8%	26.1%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12_1. რა მიზნით ისარგებლეთ ამ სივრცით? დავამუშავე და დავგეგმე ახალგაზრდული პროექტები ან ღონისძიებები

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	17	19	12	48
	%	37.0%	70.4%	63.2%	52.2%
დასახელდა	სიხშირე	29	8	7	44
	%	63.0%	29.6%	36.8%	47.8%
	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12_2. რა მიზნით ისარგებლეთ ამ სივრცით? რეგულარულად ვხვდები მეგობრებს ამ სივრცეში და ვერთობით

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	32	22	15	69
	%	69.6%	81.5%	78.9%	75.0%
დასახელდა	სიხშირე	14	5	4	23
	%	30.4%	18.5%	21.1%	25.0%
	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12_3. რა მიზნით ისარგებლეთ ამ სივრცით? სხვა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
დასახელდა	სიხშირე	2	2	1	5
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
	სიხშირე	2	2	1	5
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

12_3_ით. რა მიზნით ისარგებლეთ ამ სივრცით? სხვა, ჩაწერეთ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
უარი პასუხზე	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	50.0%	0.0%	20.0%
ბიბლიოთეკა	სიხშირე	1	0	0	1
	%	50.0%	0.0%	0.0%	20.0%
სპორტული ღონისძიებებისათვის	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	100.0%	20.0%
მეგობრებთან შესახვედრად	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	50.0%	0.0%	20.0%
ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა	სიხშირე	1	0	0	1

	%	50.0%	0.0%	0.0%	20.0%
სულ	სიხშირე	2	2	1	5
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_1. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? არ მქონდა ინფორმაცია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	43	22	15	80
	%	93.5%	81.5%	78.9%	87.0%
დასახელდა	სიხშირე	2	5	1	8
	%	4.3%	18.5%	5.3%	8.7%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_2. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? შორს არის ჩემი საცხოვრისიდან

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	44	22	15	81
	%	95.7%	81.5%	78.9%	88.0%
დასახელდა	სიხშირე	1	5	1	7
	%	2.2%	18.5%	5.3%	7.6%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_3. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? სივრცე არ არის კომფორტული/სათანადო ტექნიკით აღჭურვილი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	45	27	15	87
	%	97.8%	100.0%	78.9%	94.6%
დასახელდა	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	5.3%	1.1%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_4. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? ფასიანია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	45	27	16	88
	%	97.8%	100.0%	84.2%	95.7%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_5. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? მუდმივად დაკეტილია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	45	27	16	88
	%	97.8%	100.0%	84.2%	95.7%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_6. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? მშობლები არ მიშვებენ

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	2.2%	0.0%	15.8%	4.3%
არ დასახელდა	სიხშირე	45	27	16	88
	%	97.8%	100.0%	84.2%	95.7%
სულ	სიხშირე	46	27	19	92
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_7. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? სხვა

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	1	0	3	4
	%	.7%	0.0%	4.0%	1.1%
არ დასახელდა	სიხშირე	150	140	71	361
	%	98.7%	98.6%	94.7%	97.8%
დასახელდა	სიხშირე	1	2	1	4
	%	.7%	1.4%	1.3%	1.1%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

13_7_თხ. რატომ არ გისარგებლიათ ამ სივრცით? სხვა, ჩაწერეთ					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დამჭირვებია	სიხშირე	0	1	0	1
	%	0.0%	50.0%	0.0%	25.0%
დრო არ მქონდა/მაქვს	სიხშირე	0	0	1	1
	%	0.0%	0.0%	100.0%	25.0%
არ არის საინტერესო	სიხშირე	1	1	0	2
	%	100.0%	50.0%	0.0%	50.0%
სულ	სიხშირე	1	2	1	4
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

14. რამდენად მივიღიათ მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში?					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
რეგულარულად ვმონაწილეობ	სიხშირე	23	2	2	27
	%	15.1%	1.4%	2.7%	7.3%
რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა	სიხშირე	58	53	17	128
	%	38.2%	37.3%	22.7%	34.7%
ერთხელ მივიღე მონაწილეობა	სიხშირე	12	10	6	28
	%	7.9%	7.0%	8.0%	7.6%
არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ მსმენია მათ შესახებ	სიხშირე	39	47	28	114
	%	25.7%	33.1%	37.3%	30.9%
არ მიმიღია მონაწილეობა და არც მსმენია მათ შესახებ	სიხშირე	20	30	22	72
	%	13.2%	21.1%	29.3%	19.5%
სულ	სიხშირე	152	142	75	369
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

15. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით ამ აქტივობების ხარისხს? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში - 49.6%).					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ძალიან დადებითად	სიხშირე	13	5	3	21
	%	14.0%	7.7%	12.0%	11.5%
დადებითად	სიხშირე	61	45	18	124
	%	65.6%	69.2%	72.0%	67.8%

არც დადებითი/არც უარყოფითი	სიხშირე	17	13	3	33
	%	18.3%	20.0%	12.0%	18.0%
უარყოფითად	სიხშირე	1	2	1	4
	%	1.1%	3.1%	4.0%	2.2%
მალიან უარყოფითად	სიხშირე	1	0	0	1
	%	1.1%	0.0%	0.0%	.5%
სულ	სიხშირე	93	65	25	183
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

16_1. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სმენია მის შესახებ - 30.9%) - არ მაქვს ინტერესი

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	10	20	7	37
	%	7.6%	17.9%	13.2%	12.5%
არ დასახელდა	სიხშირე	112	81	41	234
	%	84.8%	72.3%	77.4%	78.8%
დასახელდა	სიხშირე	10	11	5	26
	%	7.6%	9.8%	9.4%	8.8%
სულ	სიხშირე	132	112	53	297
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

16_2. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სმენია მის შესახებ - 30.9%) - შორს არის ჩემი სახლიდან

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	10	20	7	37
	%	7.6%	17.9%	13.2%	12.5%
არ დასახელდა	სიხშირე	109	84	42	235
	%	82.6%	75.0%	79.2%	79.1%
დასახელდა	სიხშირე	13	8	4	25
	%	9.8%	7.1%	7.5%	8.4%
სულ	სიხშირე	132	112	53	297
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

16_3. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სმენია მის შესახებ - 30.9%) - ფასიანია

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
მიჭირს პასუხის გაცემა	სიხშირე	10	20	7	37

	%	7.6%	17.9%	13.2%	12.5%
არ დასახელდა	სიხშირე	121	92	46	259
	%	91.7%	82.1%	86.8%	87.2%
დასახელდა	სიხშირე	1	0	0	1
	%	.8%	0.0%	0.0%	.3%
სულ	სიხშირე	132	112	53	297
	%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

16_4. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში? (კითხვა დაესვა მათ, ვისაც მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა სმენია მის შესახებ - 30.9%) - არ არის განკუთვნილი ყველასთვის

		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
